



# მენორა

გამოდის  
1993 წლის  
მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული ბაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

## מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

დეკემბერი  
(ქილევანი)  
1-15  
№23 (357)  
(5772)  
2011

„מנורה“

עיתון יהודי

בגוריה

## მხაზანსაუხუნოვანმა მებოხობამ ბაიმაჩჰვა

### ისრაელი საქართველოსთან ურთიერთობის გაუმჯობესებას ესწრაფვის

### საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ოფიციალური ვიზიტით ისრაელს ეწვევა



5 დეკემბერს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდიაძემ განაცხადა, რომ ახლო მომავალში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე ისრაელს ეწვევა. მან აღნიშნა, რომ ეს ვიზიტი ისრაელის მხარის ინიციატივით შედგება.

„სიმაართლე იმაში მდგომარეობს, რომ საქართველოსა და ისრაელს აქვთ ძალიან კარგი ურთიერთობა, რაც არასოდეს შეწყვეტილა, — დასძინა კალანდიაძემ — კონსულტაციები

საქართველოს საგარეო სამინისტროსა და ისრაელს შორის ცოტა ხნის წინ შედგა. ისრაელის მხარემ კი კონსულტაციების ახალი ტურის ჩატარების სურვილი გამოთქვა“. ასეთი სახით, ოფიციალური თბილისი ყველანაირად უსვამს ხაზს, რომ რონი ფუქსისა და ზეევ ფრენკელის გათავისუფლების შემდეგ, ორ ქვეყანას შორის ნორმალური ურთიერთობის აღდგენის ინიციატივა სწორედ რომ იერუსალიმისგან მომდინარეობს.

როგორც ადრე გაზეთმა „ჰარეცმა“ განაცხადა, 2 დეკემბერს საგარეო საქმეთა მინისტრის ავიგდორ ლიბერმანს საუბარი ჰქონდა ქართველ კოლეგასთან და ისრაელშიც დაპატიჟა ორ ქვეყანას შორის მყარი ურთიერთობების აღდგენის მიზნით. ვაშაძემ ეს მიწვევა მიიღო. ამავე გამოცემის მიხედვით, ეს ვიზიტი მომავალი ორი კვირის განმავლობაში შედგება.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის — გრიგოლ ვაშაძის ვიზიტი ისრაელში მომავალი წლის 10 ან 12 იანვარს შედგება. სამშაბათს, 6 დეკემბერს, ვილნიუსში ეუთოს სამიტის ფარგლებში საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე ისრაელისა და საქართველოს დიპლომატიური უწყებების მეთაურთა შეხვედრა შედგა.

ავიგდორ ლიბერმანმა და გრიგოლ ვაშაძემ გამოთქვეს კმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ რონი ფუქსისა და ზეევ ფრენკელის ისტორია საქართველოში წარმატებით დასრულდა. როგორც პორტალ „IzRus“ ისრაელის დელეგაციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა განუცხადა, მინისტრების აზრით, ეს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.

სწორედ, ამ კონტექსტში ლიბერმანმა დაადასტურა, რომ გრიგოლ ვაშაძე ისრაელში ოფიციალური ვიზიტით მიიწვია, რომელიც პირველად 2 დეკემბერს მათი სატელეფონო საუბრის შემდეგ განმარტდა (ფუქსისა და ფრენკელის გათავისუფლების შემდეგ). შეთანხმების მიხედვით, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ისრაელს 2012 წლის 10 ან 12 იანვარს ეწვევა.

## გათავისუფლება

მცირე ოფიციალური ცნობა: 90-იანი წლების დამდეგს საქართველოს ხელისუფლებამ კომპანია „Tramex International Inc“-თან მიწა მიწა შეთანხმებას.

დავა შეეხებოდა, 90-იანი წლების დამდეგს საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებას, გაეფორმებინა არამომგებინანი ხელშეკრულება კომპანია „Tramex International Inc“-ის წარმომადგენლებთან — რონი ფუქსისა და იოსების კარლასტრუტურის მართვის სრული უფლება სწორედ ამ კორპორაციამ მიიღო, რის შემდეგაც კომპანია „Tramex International Inc“-ს ექსპლუატაციის უფლება მიეცა. მერა კი ამავე კომპანიამ, საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების წარმომადგენლებს უკანონო ქმედებების შედეგად, მოიპოვა 30-წლიანი ექსპლუატაციის უფლება საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ და მომავალში საქართველოს ტერიტორიაზე შექმნილ ინფრასტრუქტურაზე, მამრამ სასარგებლოდ არც ერთი თეთრი არ გადაუხდია. უფრო მეტიც, არ შესრულებულა ის მცირედი ვალდებულებები, რაც გათვალისწინებული იყო ხელშეკრულებით.

1996 წლიდან, მას შემდეგ, რაც შეიქმნა საქართველოს ნავთობისა და გაზის საერთაშორისო კორპორაცია, საქართველოში არსებული ნავთობისა და გაზის ინფრასტრუქტურის მართვის სრული უფლება სწორედ ამ კორპორაციამ მიიღო, რის შემდეგაც კომპანია „Tramex International Inc“-ის წარმომადგენლებმა დაიწყეს დავა მათ მიერ გაფორმებული ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნით და საერთაშორისო არბიტრაჟს მიმართეს, რომლის გადაწყვეტილებითაც საქართველოს დაეკისრა 98 მილიონი დოლარის გადახდა, საქართველომ ეს გადაწყვეტილება არასწორად მიიჩნია. ჯარიმა არ გადაიხდა და ვალმა 110 მილიონ აშშ დოლარს მიაღწია.

ამჟამად მიღწეულ იქნა შეთანხმება იმის თაობაზე, რომ საქართველო ვალის მესამედს გადაიხდის და მოდგმა კომპანია „ტრამექსს“ პრაქტიკულად აღარ ექნება საქართველოს მიმართ.

ამ შეთანხმებაზე განაპირობა ის, რომ საქართველოს პრეზიდენტმა მიიღო ჩინებული გადაწყვეტილება.

**რედაქტორის მინაწერი:** ეს უსიამოვნო განცდები 14 თვე გრძელდებოდა. უსიამოვნო უწინარესად იმათთვის, ვინც განსასჯელის სკამზე მოექცა — როდესაც თბილისის საქალაქო სასამართლოში რონი ფუქსისა და ზეევ ფრენკელის პირველ სასამართლო სხდომაზე მივედი, ვიგრძენი, თუ როდენ მძიმე იყო მათთვის ეს დღეები. რონი შორიდან ღიმილით მომესალმა, მაგრამ ერთობ მწარე იყო ეს ღიმილი!

ცხადია, მძიმე დღეში იყვნენ, მაგრამ არც ისინი განიცდიდნენ სიამოვნებას, ვინც თვალს ადევნებდა რონი ფუქსისა და ზეევ ფრენკელის სასამართლოს, ქართული პრესის პუბლიკაციებს, ოპოზიციური ძალებისა და სახელმწიფოს ურთიერთობას ამ საკითხთან მიმართებაში. ამას ემატებოდა ისრაელში ზოგიერთი შორსგაუხედავი პოლიტიკოსისა თუ ჟურნალისტის მოუზომავი გამოხატულებები, თუ ქმედებანი — ადამიანებისა, რომლებსაც არა-რა ამაგი არ დაუდიათ მრავალსაუკუნოვანი ქართულ-ებრაული ურთიერთობისათვის, მათთვის ქართველი და ებრაელი ხალხის ეს ძვირფასი მონაპოვარი მხოლოდ სიტყვები იყო და მეტი არაფერი.

ადამიანები კი ისე უაზროდ არასოდეს, არც ერთ ეპოქაში „ისროდენ“ სიტყვებს, როგორც ამ ჩვენს განათლებულსა და კანონებით გაჯერებულ დროში.

ბოლოს ისევ საქართველოს ხელისუფლებამ დაუდო სამანი ამ უსიამოვნო განცდებს — 2 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ სპეციალურ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ პრეზიდენტმა მიხილ სააკაშვილმა ისრაელის მთავრობისა და პირადად ისრაელის პრეზიდენტის თხოვნის საფუძველზე, ასევე ჰუმანური მოსაზრებებით, მიიღო გადაწყვეტილება, ებრაელი ბიზნესმენების შეწყალების თაობაზე.

ეს გადაწყვეტილება მიღებული იქნა ჰუმანური მოსაზრებით — იმის გათვალისწინებით, თუ რა ასაკის არიან დაკავებულები და როგორია მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა, — განაცხადა მანანა მანჯგალაძემ.

იმავე დღეს რონი ფუქსს და ზეევ ფრენკელს თვითმფრინავი გამოუგზავნეს ისრაელიდან, ყოფილ ტუსალებს ბენ გურიონის აეროპორტში დიდძალი ხალხი დახვდა — აქ იყვნენ მათი ოჯახის წევრები, მეგობრები, პოლიტიკოსები.

3 დეკემბერს კი ისრაელის პრეზიდენტმა შიმონ პერესმა საქართველოს პრეზიდენტ მიხილ სააკაშვილს დაურეკა და მადლობა გადაუხადა პატიმრების შეწყალების გამო. ამას კი მოჰყვა საუბარი ქართველი და ებრაელი ხალხის მრავალსაუკუნოვან მეგობრობაზე.

რა გაკვეთილი დაგვიტოვა რონი ფუქსისა და ზეევ ფრენკელის საქმემ? ერთა მრავალსაუკუნოვან მეგობრობას გაფრთხილება უნდა, ეს განსაკუთრებით უნდა გაითვალისწინოს ზოგიერთმა ჟურნალისტმა, უწინარესად, ბენ კასპიტი გვყავს მხედველობაში, რომლის ცხარე გამონათქვამები არავის უწევდა კარგ სამსახურს, და პოლიტიკოსებმა: შეუსაბამობა სახელმწიფოთა, ერთა ურთიერთობა დადო რისკის სასწორზე — სხვადასხვა განზომილებებია.

# კონგრესის ახალი პრაზიდანი

ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესს თითქმის ათი წელი ხელმძღვანელობდა გამოჩენილი მეცენატი, ბიზნესმენი ალექსანდრე მაშკევიჩი.

ამ ხნის განმავლობაში ალ. მაშკევიჩმა გამოავლინა მსურველ გულისხმიერება ევრ-აზიის კონგრესში შემავალი ქვეყნების ებრაელობისადმი, მათ შორის საქართველოს ებრაელობისადმი, ეს გამოიხატა ამა თუ იმ პროექტის დაფინანსებით, რომელთაგანაც გამოვყოფდით თბილისის აშქენაზ ებრაელთა ბეით ქნესეთის სრულ რესტავრაციას, ყოველი ფესახის წინ მაცის მონოდებას, სემინარების ჩატარებას. ამჟამად კი ბიზნესმენი დავით იაკობაშვილი თბილისის დიდი ბეით ქნესეთის რესტავრაციას სწორედ ევრ-აზიის კონგრესის ეგიდით ეწევა (ამაზე ჩვენი გაზეთი შ. ბოსტანაშვილის ნაკალმარით სისტემატურად უამბობს მკითხველს)

ალ. მაშკევიჩის მოღვაწეობაში უმთავრესი ადგილი უჭირავს ისრაელის სახელმწიფოებრიობის განმტკიცების პროგრამას. კონგრესი ყოველ კრიზისულ, ექსტრემალურ სიტუაციაში, როგორც იტყვიან, ხმალამოღებული იბრძოდა და იბრძვის, ისრაელის სახელმწიფოს ინტერესებისათვის, ხოლო რაც შეეხება საქართველოს ხელისუფლებას, იგი კონგრესის ყოველ წინადადებას გული-სყურით ეხმარება. ამაზე თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ ქვეყნის პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ორჯერ შეხვდა ალ. მაშკევიჩს, იყო კონგრესის ხელმძღვანელობის წარმატებული შეხვედრები საქართველოს საგარეო საქმეთა, ეკონომიკური განვითარების, თუ რეინტეგრაციის მინისტრებთან. მიმდინარე წლის ივნისში კი ალ. მაშკევიჩმა გამოაცხადა, რომ პრეზიდენტის პოსტიდან გადადგომა გადაწყვიტა, რადგან ბიზნესი დიდ ყურადღებას ითხოვს.

კონგრესის დამფუძნებლები (რუსეთის „ვაადის“ თავმჯდომარე — მიხ. ჩლენოვი, უკრაინის „ვაადის“ თავმჯდომარე ი. ზისელსი, ყაზახეთის ებრაული ორგანიზაციების საბჭოს თავმჯდომარე ალ. ბარონი) ივნისიდან მოყოლებული აქტიურად არჩევდნენ პრეზიდენტობისათვის შესაფერის კანდიდატურას, რომელიც სრულად დააკმაყოფილებდა კონგრესის პროგრამაში ჩამოყალიბებულ ამოცანებს.

განიხილებოდა რამდენიმე მეცენატის პრეზიდენტობასთან შესაბამისობის საკითხი. გენერალურ ასამბლეას განსახილველად წარედგინა ბიზნესმენ ვადიმ შულმანის კანდიდატურა.

24 ნოემბერს იერუსალიმის სასტუმრო „მეცუ-

დათ დავითში“ გაიმართა ევრ-აზიის გენერალური საბჭოს მორიგი სხდომა. დღის წესრიგში იდგა ერთი საკითხი — კონგრესის ახალი პრეზიდენტის კანდიდატურის განხილვა. სხდომის დაწყებამდე გენერალური საბჭოს წევრები მერიაში მიიღო იერუსალიმის მერმა ნირ ბარკათმა, ბ-მა მერმა გენსაბჭოს წევრებს უამბო იერუსალიმის ცხოვრების სხვადასხვა სფეროს შესახებ (მშენებლობა, ბიზნესი, მოსახლეობა, აღმსარებლობა, ბიუჯეტი და სხვ.) ნირ ბარკათის ნაამბობში ბევრი რამ იყო საინტერესო. აღვნიშნავთ ერთს: ბოლო 10-15 წლის განმავლობაში ქალაქის მოსახლეობა 200 ათასი ადამიანი გაიზარდა. დღეს იერუსალიმში 800 ათასიანი ქალაქია, ამის მესამედი მუსლიმი გახლავთ, 2% კი ქრისტიანია. ქალაქის ბიუჯეტი 6.5 % გაიზარდა.

გენერალური საბჭოს სხდომის დაწყებისთანავე ისრაელის პრემიერ-მინისტრის ბინიამინ ნეთანიაჰუს მისალმება ნაიკითხა პრემიერის თანამემხემ ალექსანდრე სელსკიმ, ასევე ნაიკითხეს აბსორბციის მინისტრის სოფა ლანდვერის, ისრაელში რუსეთის ელჩის — სერგეი იაკოვლევის მისალმებები. გენერალური საბჭოს წინაშე წარსდგა „სოხნუთის“ თავმჯდომარე ნათან შჩარანსკი, მსოფლიოს ებრაული კონგრესის გენერალური დირექტორი დან დაიკერი.

ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტობაზე პრეტენზია განაცხადა ბირთვული ფიზიკის პროფესორმა, ამჟამად პენსიონერმა ვლადიმერ არცბერგმა.

არჩევნების წინ გენსაბჭოს წევრებს გააცნეს ვლადიმერ არცბერგისა და ვადიმ შულმანის ბიოგრაფიები, კინოდოკუმენტალისტმა ი. სინელნიკოვმა აჩვენა ფრაგმენტები დოკუმენტური ფილმიდან „მესამე მსოფლიო ომი დაიწყო“, რომლის შექმნის ინიციატორიც ვადიმ შულმანი გახლავთ, მიხეილ ჩლენოვმა და იოსებ ზისელსმა ისაუბრეს ვ. შულმანთან შეთანხმების პირობებზე, იმაზე თუ როგორ ხედავს იგი კონგრესს პერსპექტივაში (თავად შულმანი გენსაბჭოს სხდომას არ ესწრებოდა — წინა დღეებში დედა გარდაეცვალა), რა მიმართულება იქნება მისთვის პრიორიტეტული.

ჩატარდა ღია არჩევნები, ვ. არცბერგმა მიიღო 0 ხმა, ვ. შულმანის კანდიდატურას მხარი დაუჭირა გენერალური საბჭოს ყველა წევრმა. ვ. შულმანი არჩეულ იქნა პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლად გენერალურ ასამბლეამდე.

გენსაბჭოს ყოველმა წევრმა შეკრებილთ უამბო



თავთავიანთი ქვეყნის ებრაელობის ყოფაზე, საქართველოს ებრაელობის ცხოვრებაზე ისაუბრეს თბილისის ებრაული სახლის კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდის დირექტორმა ელენე ბერკოვიჩმა და მწერალმა გურამ ბათიაშვილმა.

საზეიმო ვახშამზე ნაიკითხეს ისრაელის პრეზიდენტის — შიმონ პერესის წერილი, რომელიც ოფიციალური ვიზიტით ვიეტნამში იმყოფებოდა, შეკრებილთ მიესალმა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ისრაელში ბ-ნი ვახტანგ ჯაოშვილი.

## ვადიმ შულმანი

დაიბადა 1960 წელს, დაამთავრა კრივი როვის (უკრაინა) სამთოწილისეულის ინსტიტუტის მიწისქვეშა ნაგებობების ფაკულტეტი ინჟინერ-შენებლის სპეციალობით. ათი წელი მუშაობდა მეშახტედ. 1991 წლიდან ეწევა ბიზნესს. მისი ბიზნესის სფეროებია: სამთომომპოვებელი, ქიმიური და ენერგეტიკული მრეწველობა, ასევე ტელეკომუნიკაციები.

ეწევა დიდ ქველმოქმედებას, ახასიათებს უკრაინის ებრაული ორგანიზაციების, ისრაელის სახელმწიფოებრიობისადმი მხარდაჭერა, სსრკ-დან გამოსული მოზარდებისათვის იერუსალიმში აავო სკოლა-ინტერნატი „ბათ ციონი“, მისი სახელი უწოდეს იერუსალიმის არქეოლოგიურ პარკს, დენპროპეტროვსკში დააფინანსა მოხუც ებრაელთა სახლის მშენებლობა, მონაწილეობდა კიევის ცენტრალური (ბროდსკის) ბეით ქნესეთის რესტავრაციაში, კრივი როვში აავო ბეით ქნესეთი „ბეით შტერნ შულმანი“, ოქსფორდის უნივერსიტეტში გახსნა აუდიტორია აბრაამის შვილთა რელიგიების დიალოგისა და წამყვანი სამეცნიერო ექსპერტისათვის.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

## ქართული ებრაული სპორტსმენები — ენციკლოპედიაში

სერიით „ებრაელები მსოფლიო სპორტში“ გამოვიდა ევგენი გელერის სქელტანისანი ნიგნი „რა არის ჩვენი ცხოვრება? შერკინება!“ ნიგნი ისრაელისა და აშშ ერთობლივი გამოცემა და დაიბეჭდა აღმოსავლეთ ევროპის ებრაელთა ასოციაციის ეგიდით.

ნიგნი იხსნება ბინიამინ ნეთანიაჰუს ერთი მრავლისმეტყველი ფრაზით: „ჩვენ მცირერიცხოვანი, მაგრამ დიდი ერი ვართ“, აქვეა ვიქტორ ჰიუგოს, ავიგდორ ლიბერმანის და სხვათა გამონათქვამები.

ე. გელერი მკითხველს აცნობს სახელმწიფოებრივ ებრაელ მოჭიდავეთა ბიოგრაფიას, მწერთნელებს. ნიგნი აღჭურვილია სამეცნიერო აპარატურით, განყოფილებაში „ამიერკავკასიის რესპუბლიკები“ მიმოხილულია საქართველოში ჭიდაობის დიდი ტრადიციები, ქართველ მოჭიდავეთა მიღწევები საერთაშორისო არენაზე. ე. გელერი გვაცნობს საქართველოში, დღეს ისრაელსა, თუ სხვა ქვეყნებში მცხოვრებ ებრაელ მოჭიდავეთა სპორტული მიღწევების ბიოგრაფიას, პორტრეტებს. ესენი არიან: რაბაი აგარონოვი, თოფიკ აგარონოვი, ეფრემ აჯიაშვილი, იოსებ ალელიშვილი, მიხეილ ბაბალიკაშვილი, ბესიკ ბინიაშვილი, შალვა ზონენაშვილი, შალვა კრისხელი, სიმონ მაღალაშვილი, დავით მამისთვალოვი, რამაზ მამისთვალოვი, ავნერ მამისთვალოვი, იაკობ მანაშეროვი, ბენი მეგრელიშვილი, გენრი პაპიაშვილი, ხაიმ ტურფიაშვილი, გოჩა ციციანაშვილი, მორის ჩაჩაშვილი, ბორის ჩანელი, შოთა შაშუაშვილი. აქვე მოთავსებულია ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ თავისუფალ ჭიდაობაში სხვადასხვა დროს საქართველოს ჩემპიონები იყვნენ რაფაელ შათაშვილი, ეფრემ პარლაგაშვილი და შალვა ზონენაშვილი.

ენციკლოპედიაში მოთავსებულია ბორის ჩანელის ნიგნის — „საქართველოს ებრაელები სპორტულ სარბიელზე“ გარეკანის ფოტო.

## ნიგნების წარდგინება საელჩოში

1 დეკემბერს ისრაელში, საქართველოს საელჩოში გაიმართა მწერლისა და დრამატურგის გურამ ბათიაშვილის ნიგნების „ჩანანერები“ („სახეები და სიტუაციები“) და „მოქმედი პირნი და შემსრულებელი“ (დოკუმენტური პიესები) წარდგინება, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ისრაელში ბ-მა ვახტანგ ჯაოშვილმა.

თავის შესავალ სიტყვაში ვ. ჯაოშვილმა ისაუბრა გურამ ბათიაშვილზე, როგორც შემოქმედზე და საზოგადო მოღვაწეზე, რომელიც თავისი ნაწარმოებებით, საზოგადოებრივი საქმიანობით მნიშვნელოვან როლს თამაშობს ორი მეგობრული — ქართველი და ებრაელი ერის კიდევ უფრო დაახლოების საქმეში, განამტკიცებს კულტურულ ურთიერთობას საქართველოსა და ისრაელს შორის. ბატონმა ვ. ქაოშვილმა მოიყვანა რამდენიმე მაგალითი გ. ბათიაშვილის ინიციატივით, თუ მონაწილეობით ჩატარებული კულტურული ღონისძიებისა.

გურამ ბათიაშვილმა ისაუბრა წარმოდგენილი ორი ნიგნის შექმნის თაობაზე, შეკრებილთ გააცნო რატომ, რა მიზნით იქმნებოდა ეს ნიგნები.

საპრეზენტაციო ნიგნების თაობაზე ივრითულ ენაზე ვრცლად ისაუბრა იუდეა-შომრონის უნივერსიტეტის პროფესორმა რეუვენ ენოხმა, მან შეკრებილთ გააცნო ჩანანერების სტრუქტურა, მხატვრულ ნაწარმოებებში გამოვლენილი ისტორიზმის, დოკუმენტალიზმის პრინციპი.

ასევე ივრითულ ენაზე ისაუბრა პროფესორმა „ძველი აღთქმის“ ქართულ ენაზე ჩინებულად მთარგმნელმა შალომ დავიდმა.

— გურამ ბათიაშვილი მწერალი, რედაქტორი, დრამატურგი — ძალიან ძნელია ყველაფერ ამაზე მოკლედ ისაუბრო, გამოვყოფ მთავარს, რომელიც მას ახასიათებს. ეს არის საქართველოს, ქართული კულტურის და მეორე მხრივ-ისრაელის სიყვარული. შ. დავიდმა ხაზი გაუსვა გ. ბათიაშვილის შემოქმედების პოსტსაბჭოურ პერიოდში თავჩენილი ტენდენციებს.

მსახიობმა ნანა ბერაძემ ნაიკითხა ერთი ესეე ჩანანერების ნიგნიდან, ხოლო მხატვრული კითხვის ოსტატმა დავით ხუბელაშვილმა ნაიკითხა სიმბა ადარის ლექსი.

გურამ ბათიაშვილზე, მისი პიესის მიხედვით შექმნილ ერთ-ერთ სპექტაკლზე ისაუბრეს პროფესორმა ზივა ფელდმანმა და ინჟინერ-კონსტრუქტორმა ა. საგამი.

სიტყვით გამოვიდა ბათ-იამის კულტურის ცენტრის ხელმძღვანელი ალბერტ შავითი. გურამ ბათიაშვილმა კი მაღლობა გადაიხადა გულთბილი შეხვედრისათვის.

# რა მოხდა სასტუმრო ბაზალეთში?

19 ნოემბერს სასტუმრო „ბაზალეთში“ ამერიკის შეერთებული შტატებიდან და ისრაელიდან ჩამოსული რაბინების პატივსაცემად გაიმართა საზეიმო ვახშამი. საღამოს დასაწყისშივე თბილისში ჩამოსული მრავალრიცხოვანი დელეგაციის დამფინანსებელს ზაკ ხაიმს სიმბოლურად გადაეცა პატარა თვითმფრინავი, რადგან სასტუმროების ჩამოსაყვანად მან სწორედ თვითმფრინავი იქირავა.

ვრცელი სიტყვით გამოვიდა გამოჩენილი რაბინი მათათიაჰუ სოლომონი. მან ისაუბრა საქართველოში რაბინთა ვიზიტის თაობაზე, საქართველოს ებრაელობაზე, რწმენისადმი ერთგულებაზე.

### მათათიაჰუ სოლომონი:

— ეს ვიზიტი ანახლებს ჩვენს კავშირს. ჩვენ შორიდან ჩამოვდით და ძალიან ბედნიერი ვართ, რადგან ვხედავთ ებრაელებს, რომელთაც სურთ განაახლონ გამჩენთან კავშირი. თქვენს თემს ვუსურვებ ყოველივე კარგს, იყავით ნამდვილი ებრაელები და იცოცხლეთ მაშიახის მოსვლამდე!

შემდეგ გაიმართა არიელ ლევის ნიგნის — საკვირაო საკითხავის კრებულის პრეზენტაცია. არიელ ლევისმა შეკრებილთ წარუდგინა თავისი ნიგნი, რომელიც ქართულ ენაზეა გამოცემული.

### არიელ ლევისი:

— დღევანდელი საღამო ეძღვნება ებრაელთა დახმარების კომიტეტის წევრების — დიდი რაბინების საქართველოში ვიზიტს. ასევე წარმოგიდგინებ ჩემს ნიგნს. ნიგნი გამოვიდა ქართულ ენაზე, რადგან ასეთი ხასიათის ლიტერატურა ქართულ ენაზე, სამწუხაროდ, ბევრი არ გახლავთ. (ასეთი ნიგნი ქართულ ენაზე საერთოდ არ არსებობს. რედ). პირველად სინაგოგაში დაახლოებით 25-26 წლის წინათ მოვედი, მეგობარმა, რომელმაც იქ მიმიყვანა, რაბი მალკინზე მიმიითა და მითხრა, რომ ბევრმა ადამიანმა არ იცის იმდენი, რამდენიც მან იცის, მაგრამ ახალგაზრდებთან მაინც დამაინც არ უყვარსო საუბარი. მე მას მაინც გავესაუბრე და შემდეგ ის ჩემი მასწავლებელი გახდა. ერთხელ მითხრა, თუ გინდა, რომ ყოველთვის თანადროული ადამიანი იყო და დროს მიჰყვებოდე, მუდმივად უნდა კითხულობდე თორას, ყოველკვირეულ საკითხავს. დაახლოებით 20 წელია ვცდილობ მისი რჩევა შევასრულო. ყოველკვირეული ფარაშების ჩემეული კომენტარი წლების განმავლობაში ჩემი მეგობრის — გურამ ბათიაშვილის გაზეთ „მეორაში“ იბეჭდებოდა. იმედი მაქვს, ამ ნიგნს ყოველ შაბათს სუფრასთან წაიკითხავთ.

ახლა კი მინდა ერთი განცხადება გავაკეთო: გარკვეული პერიოდის განმავლობაში ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ მთელი დროის გატარებას საქართველოში, ჩემი ხალხის გვერდით ვერ ვახერხებ. ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ მომავალი 6 თვის განმავლობაში საქართველოს მთავარი რაბინის მოვალეობას ავიმეღებ როზენბლატი შეასრულებს, ვფიქრობ, ჩემი გადაწყვეტილებით თემში მშვიდობა და ერთობა შენარჩუნდება.

**რაბი ავიმელეხ როზენბლატი:** მინდა მადლობა ვუთხრა რაბი არიელ ლევისს იმ საქმისთვის, რომელსაც წლების განმავლობაში საქართველოს ებრაული თემისათვის აკეთებდა. საქმე, რომელიც მან დაიწყო, აუცილებლად გაგრძელდება. იმედი მაქვს, ჯამათი კიდევ უფრო გაძლიერდება, მოუსვენრთ ერთმანეთს და გავერთიანდებით თორის გარშემო.

**მერაბ ჩანჩალაშვილი:** პირველ რიგში მოგილოცავთ სეფერ თორის დაწერას, დიდი მადლობა ჩამოსულ სასტუმროებს. არიელ ლევისმა გადადგომის შესახებ განცხადება გააკეთა. ჩვენ გვინდა მას მადლობა გადავუხადოთ განუყოფელი შრომისათვის, დავულოცოთ გზა თავის საქმიანობაში, მრავალშვილიანი მამა და ღმერთმა ყველა მის შვილს ბედნიერება მისცეს. გვიგულოს თავის მეგობრად. დროებით მთავარი რაბინის მოვალეობის შემსრულებელი იქნება ავიმელეხ როზენბლატი, როგორც აქამდეც იყო. ექვსი თვის განმავლობაში მას აქვს საშუალება წარმოაჩინოს თავისი თავი და დაგვანახოს, თუ რისი გაკეთება შეუძლია. ჩვენ მას ყველანაირად მხარში დავუდგებით. ექვსი თვის შემდეგ კი ახალ მთავარ რაბინს ავირჩევთ. ტაშით მივესალმეთ ავიმელეხს.

**შაჰულ სიმონი:** მე თვეობით ხორცი არ მიჭამია, რადგან ბაქოში ქაშერი ხორცი არ გვქონდა. თბილისში ჩემი ნათესავები ცხოვრობენ. მე აქ ჩამოვდიოდი და ზაფხულში ვისვენებდი. ამდენად, თბილისი ჩემი მშობლიური ქალაქია. ჩემს ბავშვობაში თბილისი ერთადერთი ადგილი იყო, სადაც ქაშერი საკვების მიღება შემიძლო. თბილისი თავის დროზე იყო მთელი კავკასიის იერუსალიმი. ეს იყო რაბი არიელ ლევისის სახლი, სადაც ჩამოვდიოდი და კიდევ არაერთხელ ჩამოვალ. მინდა ჩემს ქართველ მეგობრებს ვუთხრა, რომ როგორც თბილისი ანათებდა მთელ კავკასიას, ასევე გაგრძელდება იგი. მომავალში გისურვებთ გაძლიერებას და



გამრავლებას. ახლა კი ვთხოვ არიელ ლევისს და ხახამ დავით აზიზოვს ჯამათში მშვიდობის დამკვიდრებისათვის ერთმანეთს ხელი ჩამოართვან.

არიელ ლევისმა და დავით აზიზოვმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს.

**ზაირა დავარაშვილი:** მოგესალმებით ქალბატონებო და ბატონებო. მივმართავ საქართველოს ებრაულ თემს და მის ღირსეულ წარმომადგენლობას, რომელიც დღეს ამ დარბაზშია შეკრებილი. დღეს ჩვენ ამ დარბაზში მოგვიწვიეს იმ სატუმროების შესახებ, რომლებიც შორი გზიდან ჩამოვიდნენ. იმისათვის, რომ ერთხელ კიდევ მოინახულონ თავისი ძმები, ნახონ თუ რას აკეთებენ იმისათვის, რომ თითოეულმა ჩვენგანმა გაბედულად უპასუხოს შეკითხვაზე, რა გააკეთებენ რომ არ დაკარგულიყო თორა? გუშინ სალოცავში შედგა შესანიშნავი შეხვედრა — დაიწყო ახალი სეფერთორის წერა, ეს ჩვენთვის ძალიან ამაღლებული იყო და ყველა გახარებული ვიყავით. ძალიან სასიამოვნოა ასეთ საღამოზე ერთმანეთის ნახვა, ბატონმა არიელ ლევისმა გამოსცა ნიგნი, რომელშიც თავმოყრილია თორის ფარაშების ახსნა-განმარტება ქართულ ენაზე. მაგრამ ის, რაც შემდეგ აქ მოვისმინეთ, შემოძლია ვთქვა, რომ ჩემთვის არასასიამოვნო ამბავი იყო, მაგრამ არა იმიტომ, რომ ბატონი არიელის ნაცვლად ბატონი როზენბლატი წარმოგვიდგინეს. შეკითხვაზე — რა გააკეთებენ, რომ არ დაკარგულიყო თორა? ბატონ არიელ ლევისს საკმაოდ ვრცელი პასუხის გაცემა შეუძლია. ჩვენც ვალდებულნი ვართ, რომ ამკარად და ღიად ვილაპარაკოთ ამ თემაზე, რადგან ადამიანი თავის თავზე და დამსახურებაზე ბევრს ვერ ილაპარაკებს. ჩვენ, ებრაელები მსოფლიოში ტრადიციულ თემად ვართ მიჩნეულნი. ქართველი ებრაელობა თავისი შეურყენელი ტრადიციებით მოვიდა დღემდე, რაშიც ლომის წვლილი მიუძღვის ბატონ არიელ ლევისს. ჩვენ ერთხელ კი არა, ძალიან ბევრჯერ უნდა ვუთხრათ მადლობა ამ პიროვნებას, რომელმაც მთელი ებრაელების ცხოვრებაში ყველა ასაკის ადამიანებისათვის შექმნა საგანმანათლებლო კერები. თანამედროვე ქართველი ებრაელების ცხოვრების ისტორია არ დაიწყო არიელ ლევისის სახელის გარეშე. დიდი მადლობა მას ყველაფერი ამისათვის. რადგან ბატონი არიელი თავისი ნებით ტოვებს მთავარი რაბინის პოსტს, ჩვენ მას პირობას ვაძლევეთ, რომ რაც მან გააკეთა, ის დავინახებთ არ არის და არც არასოდეს იქნება. ბატონი ავიმელეხ როზენბლატის გარშემო გავერთიანდებით და არ შევარცხვენთ არიელ ლევისს.

**გურამ პანტაშვილი:** ბატონ არიელს უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ქართველი ებრაელობის ცხოვრებაში. ასეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს მთელმა თემმა და არა ერთეულმა. ადარ არის ის დრო, როდესაც საჭირობოტო საკითხს, რამდენიმე ადამიანი წყვეტდა.

არიელ ლევისის ღვაწლზე საუბარი რთულია. მისი ცხოვრება ისე წარიმართა, რომ მისი საქართველოში ცხოვრება აღარ შეიძლებოდა. ის ღვაწლი კი, რაც მან ქართველი ებრაელებისთვის გააკეთა, თანამედროვე ისტორიის ნაწილია. ვფიქრობ, ეს საკითხი დღის წესრიგიდან მოხსნილი არ არის. ნებისმიერი საქმე კეთდება სუფთა ხელებით, ლაქები კი დროთა განმავლობაში აუცილებლად გამოჩნდება.

**რაფიელ მესხინი:** არიელ ლევისმა გადაწყვეტილება თავისით მიიღო. არ ყოფილა არავითარი ზეწოლა. ჩამორბენებულები არიან ძალიან ავტორიტეტული რაბინები. არიელი წლების განმავლობაში ფიზიკურად საქართველოში არ იმყოფებოდა, მან თავად მიიღო ეს გადაწყვეტილება. წარმატებები მინდა ვუსურვო არიელ ლევისს.

**თამარ მღინარაძე:** როგორც ამისხსნეს, არიელი ლევისმა ეს გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიიღო. რათა თემში მშვიდობა შეენარჩუნებინა. ამის გამო ეს ადამიანი ჩვენს თვალში კიდევ უფრო ამაღლდა. ჩვენ ყველას უნდა გვახსოვდეს გამჩენი. მისი კეთილშობილი ნებაა, რომ ჯამათი გაერთიანდეს, მე ვთხოვ ყველას, ჩვენში იყოს მშვიდობა, ნუ ვებრძვით ერთმანეთს თანამდებობისათვის. გვქონდეს სიყვარული, არიელი თუ არ იქნება მთავარი რაბინის სტატუსით, ის მაინც ჩვენთან იქნება და ყველაფერში დაგვეხმარება.

**რამაქისაძე:** არაფერია უცნაური და მოულოდნელი იმაში, რომ 17 წლის მთავარი რაბინობის შემდეგ, ადამიანმა ასეთი განცხადება გააკეთოს. მითუმეტეს, თუ მას საქართველოში ცხოვრება არ უხერხდება. სიბეცე, სხვათა ღირსების დაუნახობა იქნებოდა, თუ თავისას არ მივაგებთ ამ ჩინებულ რელიგიურ მოღვაწეს — იგი ძალიან რთულ დროში ღირსეულად უძღოდა თემს და ერთობ დადებითი როლი ითამაშა საქართველოს ებრაელთა ისტორიის ამ მონაკვეთში, განსაკუთრებით ახალი თაობის აღზრდის, იუდაიზმის იდელების პოპულარიზაციის საქმეში. ღმერთმა ინებოს და ვიპოვოთ მისი ბადალი მოღვაწე.

19 ნოემბრის საღამოს საყურადღებო გახდა ერთი გარემოება:

არიელ ლევისს არც უხსენებია სიტყვა გადადგომა — მან თქვა, რომ ექვსი თვით თავის უფლებამოსილებას გადასცემს ავიმელეხ როზენბლატს და როდესაც მ. ჩანჩალაშვილმა ეს სიტყვა — გადადგომა მოიხვედია, ვილაცამ შესძახა კიდევ: ლევისს გადადგომის თაობაზე განცხადება არ გაუკეთებიაო. გადადგა არიელ ლევისი, თუ ტაშითაა?

იმისათვის, რომ ხვალ ჯამათმა, შეუმცდარი გადაწყვეტილება მიიღოს, უნდა გაკეთდეს გონივრული ანალიზი იმისა, რაც მოხდა. უნდა შეფასდეს თუ რატომ, როგორ, რისთვის მოხდა ის, რაც მოხდა. ეს კი ყველას განსასჯელი საქმეა, ჯამათის ყოველი წევრის. სწორედ ჯამათმა უნდა იზრუნოს იმისათვის, რომ ის, რაც მოხდა, თემის სასიკეთო გამოდგეს. ჩვენი გაზეთი კი დაუშურველად დაუთმობს ტრიბუნას საჯამათო პრობლემის განმხილველ ყოველ ადამიანს. საკითხი უნდა განვიხილოთ არა ურთიერთდაპირისპირების, არამედ კოლეგიალურ რეჟიმში — მთავარი რაბინები იცვლებიან, თემი კი არსებობს და განვითარებას განაგრძობს.

# ბუხარისა და სამარყანდის ებრაელობა დღეს

ახლანდელი ცენტრალური აზიის ტერიტორიაზე ებრაელები ჩვ.წ.აღ. III-IV-ში გამოჩნდნენ, როდესაც ირანის ებრაელების ორი შტოდან ერთ-ერთი ირანიდან დასავლეთით გადასახლდა (ებრაელების მეორე ნაწილი კი — ავღანეთში). დანარჩენი ებრაელებისაგან იზოლირების შედეგად ჩამოყალიბდა ებრაელი ხალხის რეგიონალური სუბ-ეთნოსი — ბუხარის ებრაელები.

დღესდღეობით მსოფლიოში დაახლოებით 220 ათასი ბუხარელი ებრაელია, რომელთა უმრავლესობაც — 150 ათასი ცენტრალური აზიის ტერიტორიაზე ცხოვრობდა, მათგან 60 ათასი დღეს ისრაელშია. ბუხარის ებრაელები ცხოვრობენ ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, ავსტრიაში და სხვა ქვეყნებში. თანამედროვე უზბეკეთში ცხოვრობს დაახლოებით 500 ებრაელი, რომლებიც წარმოდგენილი არიან ბუხარისა და ამკენაზური სუბ-ეთნოსის ჯგუფებით. ცენტრალური აზიის ამ რესპუბლიკის ქალაქებში ებრაულ-ბუხარული მოსახლეობა ასეა განაწილებული: ბუხარაში — 138 ადამიანი, სამარყანდაში — დაახლოებით 50 ადამიანი, კოკანდაში — 20 ადამიანი, ფერგანაში — 30 ადამიანი, ხივამში — 20 ადამიანი. მათი დიდი ნაწილი ა.შ.შ.-ში, ან ისრაელში მიდის საცხოვრებლად. ეს ფაქტი ნამდვილად არ უკავშირდება ანტი-სემიტის იგი არც სახელმწიფოებრივ და არც ყოფით დონეზე არ არსებობს), დაკავშირებულია უზბეკეთის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასთან. ამასთანავე ბუხარის ებრაელებისთვის დიდ პრობლემად ითვლება პარტნიორის მოძებნა მომავალი ოჯახის შესაქმნელად. საქმე იმაშია, რომ უზბეკეთში მცხოვრები ბუხარელი ებრაელები სიამოვნებით შექმნიდნენ ოჯახს იქ მცხოვრებ ქალიშვილებთან, ისინი განათლებულები და ებრაულ ტრადიციებზე აღზრდილები რომ იყვნენ, მაგალითად როგორც მათი თანატოლები ისრაელში და ა.შ.შ.-ში. თვითონ მამაკაცები აღნიშნავენ, რომ უზბეკეთში მცხოვრები გოგონები აღმოსავლეთის კულტურის დიდ გავლენას განიცდიან, რის შედეგადაც ებრაულ-ბუხარულ პატრიარქალურ ტრადიციებთან შორს არიან.

იმის გათვალისწინებით, რომ ბუხარელი მამაკაცი მხოლოდ ბუხარულ ქალზე უნდა დაქორწინდეს, შესაფერისი ქალიშვილის საპოვნელად ბუხარელი მამაკაცი ა.შ.შ.-ში ან ისრაელში მიდის, სადაც ქორწინდება კიდევ და ადგილობრივ ებრაულ-ბუხარული სათემოების დახმარებითა და ხელშეწყობით მშობლებიც თავისთან მიჰყავს. ამჟამად ბუხარაში 138 ებრაელს ითვლიან — სადაც ახალგაზრდა და დაუქორწინებელი 30%-ია. არასასურველი პარტნიორის გამო ისინი ისრაელში და ა.შ.შ.-ში მიდიან და იქაური ბუხარელი გოგოს ცოლად მოყვანის შემდეგ იქვე რჩებიან საცხოვრებლად, რადგან არც ერთი ა.შ.შ.-ში, ან თუნდაც ისრაელში გაზრდილი ქალი უზბეკეთში წასვლას და იქ ცხოვრებას არ მოინდომებს. შედეგად ვიღებთ იმას, რომ უზბეკეთში ბუხარელი ებრაელების რაოდენობა სულ უფრო და უფრო მცირდება, არ იქმნება ახალი ოჯახები. ამაში არც მთავრობაა დამნაშავე და არც უზბეკეთის მუსლიმური მოსახლეობა.

სიტუაციის შეფასებისას მიხედვით, რომ ცოტა ხანში უზბეკეთში არც ერთი ბუხარელი ებრაელი აღარ დარჩება. როგორც ნოვო-მახალის სინაგოგის ხაზანი ლაზარ ბორუხოვი ამბობს, „ის ებრაული ცხოვრება, რომელსაც ახლა უზბეკეთში ხედავთ ახლო მომავალში აღარ იქნება, და 10 წლის შემდეგ ბუხარაში ერთი ებრაელიც აღარ დარჩება.“

ამასთანავე, თუ სხვა მუსლიმური ქვეყნებისთვის, განსაკუთრებით კი არაბულისთვის, დამახასიათებელია ანტი-სემიტის იგი, უზბეკეთში ასე არ არის. ადგილობრივ მუსლიმებთან ურთიერთობისას მასიური იუდოფობია შესამჩნევი არ არის. მუსლიმების უმეტესობა ადგილობრივი ებრაელების მიმართ კარგადაა განწყობილი. უზბეკეთში ჩვეულებრივ ამბად მიაჩნიათ ერთმანეთის დღესასწაულებზე დაპატიჟება. ებრაელები მუსლიმებს თავიანთ დღესასწაულებზე ეპატიჟებიან და პირიქით. ამის ყველაზე ნათელი დამამტკიცებელია ის ფაქტი, რომ ბუხარის ერთ-ერთი სინაგოგის დარაჯი მუსლიმია, იგი კარგად ერკვევა ებრაულ წესებსა და ტრადიციებში, სინაგოგაში შესულ ტურისტს სხვადასხვა კითხვებზეც კი დამაჯერებლად პასუხობს. ზოგჯერ ადგილობრივი მუსლიმები დანაშაულებით საუბრისაგან ებრაელების მიგრაციის შესახებ. ამასთანავე, ებრაულ-მუსლიმურ ურთიერთობაზე ზეგავლენას არ ახდენს არაბულ-ისრაელური კონფლიქტი. ალბათ იმიტომ, რომ მიმდინარე მოვლენები უზბეკეთიდან შორს მიმდინარეობს და ადგილობრივი მოსახლეობისთვის აქტუალური საკითხი არ არის, ბუხარელი ებრაელები კი უკვე დიდი ხანია მათ გვერდით ცხოვრობენ და არაბულ-ისრაელური კონფლიქტის გამო არ ღირს მეზობლებთან კამათი.

ბუხარაში ებრაელები ისევე ცხოვრობენ, როგორც მრავალი საუკუნის წინათ, ებრაულ კვარტალში (მახალია), არსებობს ორი — ახალი და ძველი მახალი, ორივე მათგანში ორი სინაგოგაა: შესაბამისად, ძველ-მახალიური და ახალ-მახალიური. რეველოუციამდე ქალაქში 13 სინაგოგა ფუნქციონირებდა, მათგან 11 ახლაც გამოიყენებდა, მაგრამ უკვე სხვა დანიშნულებით — მათში განლაგებულია საბავშვო ბალები და სხვა სახელმწიფო დაწესებულებები. ადგილობრივი ებრაელი მაცხოვრებლები მთავრობისგან მათ დაბრუნებას არ ითხოვენ: ნებისმიერი სინაგოგის შენახვა ფინანსურ სახსრებს მოითხოვს, მაგრამ მთავარი მიზეზი ეს არაა. საქმე იმაშია, რომ ის ორი სინაგოგა, რომელიც ბუხარაში ფუნქციონირებს საგვარდობით აკმაყოფილებს ებრაელების რელიგიურ მოთხოვნებს. ებრაელების მცირერიცხოვნობის გამო დიდ პრობლემად იქცა ამ სინაგოგების შევსება. არის შემთხვევები, როდესაც ბუხარის ძველ-მახალიურ სინაგოგაში ვერ იკრიბება 10 მამაკაციც კი, ანუ ის რაოდენობა, რომელიც იუდაიზმის მიხედვით კოლექტიური ლოცვისთვისაა საჭირო. თუმცა, ყოველი ბუხარელი ებრაელი მკაცრად, მხოლოდ თავის სინაგოგაში დადის. ორივე სინაგოგის მრევლს შორის გარკვეული კონკურენციაც კი არსებობს.

მცირერიცხოვან რელიგიურ თემებს მთელი რიგი პრობლემები აწუხებთ. მაგალითად, ეს არის ელემენტალური სირთულე ბავშვების წინდაცვეთის შესახებ. იუდაიზმის მიხედვით ებრაელი ბიჭის წინდაცვეთა მისი დაბადებიდან მერვე დღეს უნდა მოხდეს, უზბეკეთში მცხოვრები ერთადერთი სპეციალისტი კი ტამკენტი იმყოფება და სხვა ქალაქებში მხოლოდ გარკვეული პერიოდულობით ახერხებს

კვარტლის ერთადერთი სინაგოგა ყოველდღიურად არ მუშაობს, როგორც, მაგალითად, ბუხარაში. სამარყანდაში ებრაელები მუდმივად რეპატრიაციაზე ფიქრობენ. პირად საუბრებში აცხადებენ, რომ ისრაელსა და ა.შ.შ.-ში ბევრი ნათესავი ჰყავთ და სამუდამოდ მათთან უნდათ გადასვლა.



რუდეს. ბუხარელი ებრაელები კი მსგავს რიტუალებს არ ატარებენ.

ბუხარელი ებრაელების სალაპარაკო ენად ტაჯიკური ენა ითვლება. მკვლევარები ბუხარელი ებრაელების ენას ტაჯიკური ენის ერთ-ერთ დიალექტად მიიჩნევენ. პრაქტიკულად ყველა მათგანი თავისუფლად ფლობს რუსულ ენას.

დღეს მთელ მუსლიმურ სამყაროში ებრაული თემების რაოდენობა მცირდება: ეგვიპტეში დაახლოებით 100 ებრაელი დარჩა, იემენში — 100-ზე ნაკლები, ერაყში — 200 ადამიანზე ნაკლები, სირიაში — 30 ებრაელი, ავღანეთში — 1 ოჯახი. გამოწვევისა ირანის ისლამური რესპუბლიკა, სადაც ამჟამად 22 ათასი ებრაელი ცხოვრობს. ირანელი ებრაელებს ისრაელში რეპატრიაციის საშუალება არ აქვთ, რადგან მუსლიმური სახელმწიფოს მთავრობა ამის წინააღმდეგია. ერთ-ერთს ამ მუსლიმურ სახელმწიფოებში ათი ათასობით ებრაელი ცხოვრობდა, პირველი არაბულ-ისრაელური ომის დროს ისინი ფაქტიურად გამოყარეს ამ ქვეყნიდან. გამონაკლისი წარმოადგენენ ცენტრალური აზიის ქვეყნები, სადაც მსგავსი ზომები ებრაელების წინააღმდეგ უახლოეს დროში არ მიუღიათ. ასეა თუ ისე, ვხედავთ, რომ ებრაელების მუსლიმურ ქვეყნებში ცხოვრების მრავალსაუკუნოვანი ისტორია ფინალს უახლოვდება. სრულდება ასევე ბუხარელი ებრაელების ისტორია ცენტრალურ აზიაში, სადაც ეს ხალხი დაახლოებით 1,5 ათასი წლის განმავლობაში ცხოვრობდა.

ბუხარაში არსებობს ებრაული საბავშვო ბაღი (მისთვის ებრაულის დარქმევა მხოლოდ პირობითად შეიძლება, რადგან ბავშვების უმრავლესობა არაებრაული ოჯახებიდანაა, ეს კი საბავშვო ბაღის შენარჩუნების გამო ხდება) და ებრაული სკოლა (უმეტესი საგნების სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობს, მოსწავლეების უმეტესი რაოდენობა არაებრაელია).

ებრაული თემის ცენტრი „ა-მანა“ ბუხარის ებრაელების ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობს: ეს არის მოხუცებულთა და გაჭირვებულთა სოციალური დახმარება, თემის კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა, და ასევე, საკუთარი ეთნო-კონფესიონალური ერთობის შეცნობა.

სამარყანდაში ებრაელების რაოდენობა ბუხარასთან შედარებით სამჯერ ნაკლებია. ებრაული

უზბეკეთში ბუხარელი ებრაელებთან ერთად ცხოვრობენ ამკენაზი (რუსი) ებრაელები და ირანელი გერატის ებრაელები (ისინი ირანის ქალაქ გერატიდან XX საუკუნის დასაწყისში გადმოსახლდნენ). მათი რაოდენობა მთელი ქვეყნის მასშტაბით 20 ადამიანზე მეტი არაა. ამკენაზების რაოდენობა კი ბუხარელი ებრაელებისას უტოლდება, თუმცა ბუხარაში მცხოვრები ამკენაზები ბუხარულ სინაგოგებში არ დადიან, ამასთანავე არც ამკენაზური სინაგოგა გააჩნიათ. ტამკენტი, სადაც ორი სინაგოგა ფუნქციონირებს, ამკენაზები თავის სინაგოგაში დადიან, ბუხარის ებრაელები კი თავისაში.

სხვა ერის წარმომადგენელთან ოჯახის შექმნას ბუხარელი ებრაელები გამოირიცხავენ, თუმცა ასეთი შემთხვევები საბჭოთა კავშირის პერიოდში ხდებოდა. შერეული ქორწინების შედეგად გაჩენილი ბავშვები თავისუფლად მონაწილეობენ თემის ყველა ღონისძიებაში, თუმცა მათ სრულფასოვან წევრებად არ თვლიან. ასევე არ მოქმედებს სხვა წესებიც: ოჯახში დაბადებული ბავშვი, რომლის დედაც ებრაელია, ხოლო მამა — მუსლიმი აღიზრდება როგორც მუსლიმი, და ებრაული თემის წევრად არ მიიჩნევა. იმ შემთხვევაში, როდესაც დედა მუსლიმია, ხოლო მამა ებრაელი, ბავშვი ებრაული თემის წევრად ითვლება. თუმცა თემში მაინც ყველამ იცის, რომ იგი შერეული ქორწინების შედეგად დაიბადა და ეს მისთვის ერთგვარი დაღია. ბუხარელი ებრაელებისთვის დამახასიათებელია ეროვნული იდენტურობის გადაცემა არა დედის, არამედ მამის ხაზით.

როგორც ბუხარაში, ისე სამარყანდაში ორი დიდი ებრაული სასაფლაო მდებარეობს, რომელთაც გულმოდგინედ უვლიან. საზღვარგარეთის ბუხარულ-ებრაული სათემოები სასაფლაოების დასუფთავებისთვის ფინანსურ სახსრებს გამოყოფენ, რადგან იქ დასაფლავებულნი არიან მათი წინაპრები. არსებობს ფონდი „ბუხრო“, რომელიც საზღვარგარეთის ბუხარულ-ებრაული თემები, სასაფლაოების მოვლისთვის გზავნიან ფულს. ადგილობრივ მუსლიმებს შორის არსებობს მითი, რომ ბუხარელი ებრაელების საფლავებს მაგიური ძალა აქვთ. მაგალითად, ადგილობრივი უზბეკი ქალები ორსულობის პერიოდში ებრაელების სასაფლაოებზე მიდიან იმ რწმენით, რომ მათი შვილი ჯანმრთელი დაიბადება. მუსლიმ მამაკაცებს კი სჯერათ, რომ საფლავებზე სიარული მათ ავარიებისგან გადაარჩენს, ამიტომ საფლავებზე მისულების უმეტესობას მძღოლები შეადგენენ. მათი რწმენით, ეს რიტუალი დილით, მზის ამოსვლის დროს უნდა შესრულდეს. ბუხარელი ებრაელები კი მსგავს რიტუალებს არ ატარებენ.

ბუხარელი ებრაელების სალაპარაკო ენად ტაჯიკური ენა ითვლება. მკვლევარები ბუხარელი ებრაელების ენას ტაჯიკური ენის ერთ-ერთ დიალექტად მიიჩნევენ. პრაქტიკულად ყველა მათგანი თავისუფლად ფლობს რუსულ ენას.

დღეს მთელ მუსლიმურ სამყაროში ებრაული თემების რაოდენობა მცირდება: ეგვიპტეში დაახლოებით 100 ებრაელი დარჩა, იემენში — 100-ზე ნაკლები, ერაყში — 200 ადამიანზე ნაკლები, სირიაში — 30 ებრაელი, ავღანეთში — 1 ოჯახი. გამოწვევისა ირანის ისლამური რესპუბლიკა, სადაც ამჟამად 22 ათასი ებრაელი ცხოვრობს. ირანელი ებრაელებს ისრაელში რეპატრიაციის საშუალება არ აქვთ, რადგან მუსლიმური სახელმწიფოს მთავრობა ამის წინააღმდეგია. ერთ-ერთს ამ მუსლიმურ სახელმწიფოებში ათი ათასობით ებრაელი ცხოვრობდა, პირველი არაბულ-ისრაელური ომის დროს ისინი ფაქტიურად გამოყარეს ამ ქვეყნიდან. გამონაკლისი წარმოადგენენ ცენტრალური აზიის ქვეყნები, სადაც მსგავსი ზომები ებრაელების წინააღმდეგ უახლოეს დროში არ მიუღიათ. ასეა თუ ისე, ვხედავთ, რომ ებრაელების მუსლიმურ ქვეყნებში ცხოვრების მრავალსაუკუნოვანი ისტორია ფინალს უახლოვდება. სრულდება ასევე ბუხარელი ებრაელების ისტორია ცენტრალურ აზიაში, სადაც ეს ხალხი დაახლოებით 1,5 ათასი წლის განმავლობაში ცხოვრობდა.

# არაბული ბაზრის კანონები

## ისტორიის რეპერსი, ან ახლო აღმოსავლეთის „ბაზრის“ ოთხი წესი

### ალექსანდრე მაისტროვი

მოშე შარონი გახლავთ იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტის პროფესორი, ერთ-ერთი ნამყვანი სპეციალისტი არაბისტიკასა და ისლამში არა მარტო ისრაელში, მსოფლიოშიც. წარსულში მენახემ ბეგინის მრჩეველი და კემპ დევიდის მოლაპარაკებების მონაწილე, ფლობს არაბულ ენას, მოლაპარაკებების წარმართვის მუსლიმურ მეთოდებსა და ახლო აღმოსავლეთის მმართველების ფსიქოლოგიას.

შესაძლებელია თუ არა მშვიდობა ახლო აღმოსავლეთში? შესაძლებელია, თვლის პროფესორი შარონი და დასძენს: თუ ებრაელები დედამინიდან გაქრებიან, ან არაბების ნება-სურვილს დაემორჩილებიან. დასავლეთისა და ისრაელის პოლიტიკოსებისგან განსხვავებით, არაბებს არსად ეჩქარებათ. მათ შეუძლიათ ლოდინი...

#### — სამშვიდობო პროცესი ახლანდელი სახით — პაროდიაა. შესაძლებელია კი შიპოთეზური მშვიდობა პალესტინელებთან ერთად?

— ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი და საკუთარ აზრს არასოდეს ვმაღავდი, რომ ჩვენ არავითარ არაფერზე გვაქვს სასაუბრო. მე სრულიად ვეთანხმები ავიგდორ ლიბერმანის სიტყვებს, რომლებიც მან გაეროს გენერალურ ასამბლეაში გამოსვლისას თქვა. შემძლია მხოლოდ დავამატო, რომ არაბებთან მშვიდობა შეუძლებელია დღესაც, ხვალაც და 50 წლის შემდეგაც. არაბები ვერ ურიგდებიან დამოუკიდებელი ებრაული სახელმწიფოს არსებობას. ეს ტაქტიკური კი არა, პრინციპული გადაწყვეტილებაა. მათი მიზანი ამ ქვეყნის განადგურებაა. ისლამური კანონების მიხედვით, მშვიდობა მხოლოდ ისლამის ტრიუმფის შემდეგ დამყარდება. ისინი თავიანთი მიზნისკენ ისწრაფვიან ევროპაში, რუსეთსა და დღეს უკვე აშშ-შიც. სანამ მოლაპარაკებებს დავინწყებთ, მშვიდობას ისლამის თვალთ უნდა შევხედოთ. მუსლიმებისთვის ისრაელის არსებობა — ისტორიის რევერსი, უკვე მოპოვებული პოზიციების იძულებით დატოვებაა. ისინი ამას არავითარ შემთხვევაში არ შეურიგდებიან. უარესიც, ებრაელებს ხალხადაც კი არ აღიქვამენ, გამორიცხავენ ებრაელების ისტორიას, მათი, როგორც ეთნოსის არსებობას.

#### — კი მაგრამ, ისლამი ხომ ცნობს ებრაელების წინაპრებსა და წინასწარმეტყველებს?

— ამას მნიშვნელობა არ აქვს. ისლამის ტრადიციული კანონების მიხედვით, სწორედ ეს რელიგიაა ერთადერთი სწორი, იუდაიზმი კი მის არასწორ, დამახინჯებულ ვერსიას წარმოადგენს. მთავარი პრობლემა დასავლეთისა და არაბების სხვადასხვანაირი აზროვნებაა. დასავლეთის კულტურა ერთმანეთში აერთიანებს ბერძნულ, რომაულ, ქრისტიანულ კულტურებს. აქ სჯერათ, რომ ყოველ კონცეფციაში არის თავისი სიმართლე. მუსლიმებს მსგავსი მიდგომა არ გააჩნიათ. მათი წარმოდგენით მხოლოდ თავად გააჩნიათ ცოდნა ყველა საკითხში, რაც მათ პრივილეგიას ანიჭებს. ამ კონცეფციის მიხედვით, რა ტერიტორიებიც არაბებმა მეშვიდე საუკუნეში მიითვისეს, ისლამს ეკუთვნის, მათ შორისაა ესპანეთი, სიცილია, აღარ არის საუბარი ისრაელის მიწაზე. ეს არ არის რადიკალების შეხედულება, არამედ „ზომიერი“ მუსლიმი მოღვაწეებისა, რომლებთანაც დასავლეთი აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს. ავიღოთ, მაგალითად, „კორდოვის ინიციატივის“ დამფუძნებელი აბდულ რაიფი, რომელი პროექტის მიხედვითაც „გრანდ ზეროზე“ იგეგმება ისლამური ცენტრის — მეჩეთის მშენებლობა. დასავლეთში ვინმე დაფიქრებულა, თუ რატომ ითვლება ეს ინიციატივა კორდოვულად? არა მგონია. სახელი კი ასეთი ჰქვია, იმიტომ, რომ მუსლიმების ანდალუზიაზე უფლებებს სიმბოლოდ აქცევს.

#### — თქვენ გვთავაზობთ საერთოდ შევწყვიტოთ მოლაპარაკებები არაბებთან?

— მოლაპარაკებების წარმოება შეიძლება და საჭიროცაა, მაგრამ არა ისე, როგორც ამას ისრაელელი პოლიტიკოსები აკეთებენ. ჩვენ არ ვანარმობთ მოლაპარაკებებს — ჩვენ, უბრალოდ დათმობებზე მივდივართ, არ ვცდილობთ ფასის დადებას და ვაჭრობასაც კი. ამით მათ მაღას უფრო ვამძაფრებთ. საჭიროა გავიგოთ: არაბებს — უძველესი კულტურა აქვთ და პოლიტიკური თამაშებში ძალიან ძლიერები და გამომგონებლები არიან. მათ გაიაზრეს, რომ ისრაელის დაკნინება



დიპლომატიისა და დელეგატიმაციის საშუალებით შესაძლებელია, ისინი ყველაფერს აკეთებენ ანტი-სემიტური განწყობილების დასათესად, ასევე იყენებენ „სასარგებლო იდიოტებს“ დასავლეთში და ისრაელშიც. არაბები იყენებენ ბუნებრივ გრავიტაციას ყველა რეპრესირებულ ტოტალიტარულ რეჟიმებთან, როგორი საძულველნიც არ უნდა იყვნენ ისინი. ისინი მხარს უჭერდნენ ჰიტლერს, მისი ნობელის პრემიაზე წარდგენით. დროთა განმავლობაში ეს ბროლის ღამეს დაემთხვა. არაბები ჭკვიანურად იყენებენ დასავლეთის მისწრაფებას გადანყვეტილების მოკლე დროში მიღების შესახებ. ჩვენთან ამას „შალომ ახშავა“ ჰქვია. მაგრამ არაბულ პოლიტიკურ კულტურაში არ არსებობს სიტყვა „ახლა“. თუ არის, მხოლოდ ნეგატიურ კონტექსტში. „აჩქარება — სატანისაა“ — ამბობს არაბული ანდაზა. აქ არსად ჩქარობენ, პოლიტიკური პრობლემების გადანყვეტის დროს კი აჩქარება დაუშვებელია. დასავლეთსა და ისრაელში ამის გაგება არ სურთ. თავის დროზე მე დავწერე სტატია იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს მოლაპარაკებები ახლო აღმოსავლეთში. საკითხები არ განიხილება იმისათვის, რომ პრობლემა აქ და ახლავე გადაიჭრას. მოლაპარაკებები მიმდინარეობს მოლაპარაკებებისთვის. ეს თავისებური თამაშია, რომელშიც მთავარია — მოთმინება და სოფისტიკა. მხარეები მიისწრაფვიან იმისკენ, რომ მოწინააღმდეგეს მათთვის სასურველი პირობების მიღება აიძულონ. ჩვენ კი ამ ყველაფერს ვუშვებთ — თავად ვიგდებთ თავს ასეთ მდგომარეობაში, ჩვენი მიაბიტობა, აჩქარება და უგუნურება მათ პირდაპირ აოცებთ. როდესაც მე, მენახემ ბეგინის მომავალ მრჩეველს 1977 წელს, ეგვიპტელებთან მოლაპარაკებები მიმყავდა, სადათმა მითხრა: „ბეგინს გადაეცი: ეს ბაზარია, ფასი კი მაღალია“. ბეგინმა არ მომისმინა...

#### — როგორია არაბული „ბაზრის“ კანონები? — პრინციპში ისეთივე, როგორიც ჩვეულებრივ ბაზარში.

#### წესი ნომერი პირველი:

მოლაპარაკებები ერთი ერთზე მიმდინარეობს. სწორედ ასე უნდა დასადათს მათი წარმართვა. ბეგინი კი ნანობდა ამერიკელებისა და ინგლისელების მონაწილეობას. მაშინ ბეგინი დათანხმდა და ეს თავის სასარგებლოდ გამოიყენა. შუამავალი არაბული არის ობიექტური. ყოველ შუამავალს თავისი ინტერესები და სუსტი წერტილები გააჩნია, და მათზე ყოველთვის შეიძლება ფეხის დადგმა.

#### წესი ნომერი მეორე:

ყოველთვის არის დრო, მომზადება განუსაზღვრელად შეიძლება. მაგრამ თუ გინდა საქონლის მალე მიღება, პირდაპირ ახლა, მაღალი ფასი გადაიხადე. და რაც უფრო ჩქარობ, ფასი მით უფრო მაღალია. ასეც გამოვიდა. სადათი მოლაპარაკებებზე მოვიდა მზადყოფნაში, რომ სამშვიდობო მოლაპარაკებებისთვის სინაის ნახევარი დაეთმო. ეგვიპტის გამარჯვებითი რელაციების მიუხედავად სადათმა ომი წააგო: ისრაელელები კაიროდან ასობით კილომეტრზე იმყოფებოდნენ. პალესტინელები მას საერთოდ არ უხსენებია. მაგრამ როდესაც დაინახა, რომ ებრაელები მას მთელ სინაის, ვაჭრობის გარეშე უთმობენ, ახალი პირობა წამოაყენა: პალესტინის სახელმწიფო. იგი მიხვდა, რომ ყველაფერს ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე იღებს და თავისი პირობების წამოყენება დაიწყო. ჩვენ კი იმის ნაცვლად, რომ სინაის გაყოფაზე გვემსჯელა, პალესტინის პრობლემას გან-

ვიხილავდით. თან ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ ყველა დათმობა „ლიკუდის“ მიერ იყო გაკეთებული. „ავოდა“ ყოველთვის სინაის ნაწილის შენარჩუნებას ითხოვდა.

#### წესი ნომერი მესამე:

შეამონმე, როგორ საქონელს გთავაზობენ. თუ გეუბნებიან, რომ გოლანისათვის დამასკოში ჰუმუსის ჭამის უფლება გექნება, ეს დამპალი საქონელია ჰუმუსის ჭამა აბუ-გოშშიც თავისუფლად შეიძლება. თუ გეუბნებიან, რომ ტერიტორიების დათმობის ნაცვლად მშვიდობას მიიღებ, შეამონმე, როგორი მშვიდობა იგულისხმება, არის თუ არა შენი პარტნიორის საწყობში ასეთი საქონელი, თუ ეს მხოლოდ ცარიელი სიტყვებია. ლიბერმანის დამსახურება ისაა, რომ მან ეს მიდგომა კარდინალურად შეცვალა. იგი ამბობს: ჩვენ არ გადავიხდით მშვიდობისთვის. მშვიდობა ჩვენ თქვენზე ნაკლებად არ გვინდა, შეიძლება უფრო მეტადაც კი, თუ თქვენ გინდათ მაშინ გადაიხადეთ, ჩვენ მოცდა შეგვიძლია. სირიელები სამჯერ დაგვესხნენ თავს, ახლა კი უნდათ, რომ მშვიდობისთვის გოლანის სიმაღლეები გადავიხადოთ. თუ მშვიდობა უნდათ — გადაიხადო.

#### წესი ნომერი მეოთხე:

უნდა ვიცოდეთ, როდის ავდგეთ სუფრიდან. არის საკითხები, რომლებიც არ განიხილება. ებრაელების საკუთარ მიწაზე უფლება დისკუსიის თემა არ არის. ეს ჩვენი მიწაა, და არ აქვს მნიშვნელობა რა წერია ყურანში. თუ ჩვენ ასეთი უფლება არ გვაქვს, მაშინ რაზე უნდა ვისაუბროთ? როდესაც სადათმა სულ ახალი და ახალი პრეტენზიების გამოთქმა დაიწყო, ბეგინს წერილი მივწერე: „ადექით მაგიდლიან“. მან მხოლოდ ხელი აიქნია. არაბებმა კი იცინან, როგორ უნდა მოიქცნენ ასეთ სიტუაციაში. პარიზში მოლაპარაკებების დროს არაფატი მაგიდიდან დემონსტრაციულად გავიდა, ოლბრაიტი კი (იმ პერიოდში სახელმწიფო მდივანი) შემდეგი სიტყვებით გაეკიდა: „მისტერ არაფატი, მისტერ არაფატი!“... არაბებისთვის სულ ერთია, რა წერია თანახმში, მათ თანახმის დანახვაც კი არ უნდათ. თუ აჩვენებ რა წერია იქ, ამბობენ, რომ ეს ებრაული ფაბრიკაციაა. არაბულ ბაზარზე აგებს ის, ვინც პირველი სთავაზობს. თუ შენ სთავაზობ, მაშინვე გაუბნებიან: ეს არასაკმარისია. და რაც უფრო მეტს სთავაზობ, მით უფრო ალვივებ მაღას. შენ უნდა აიძულო მეორე მხარე, რომ შემოგთავაზოს — თამაშის ყველაზე მთავარი კანონია. ჩვენი პოლიტიკოსები რამდენიმე წლის განმავლობაში ხელისუფლების შენარჩუნებაზე ფიქრობენ, არაბებს კი გრძელვადიანი კატეგორიები უნდათ. დაუმატეთ ამას „სასარგებლო იდიოტები“, და სურათი ცხადი გახდება.

#### — როგორი დამოკიდებულება აქვს ლიბერმანს ტერიტორიებისა და მოსახლეობის გაცვლასთან დაკავშირებით?

— მან იცის, რომ არაბები ამაზე არასოდეს დათანხმდებიან, და თუ ასეა, ისინი მოლაპარაკებების განწყვეტაში იქნებიან დამნაშავენი. არაბების მოლაპარაკებების წარმართვის კულტურა დასავლეთისთვის მიუღებელია. მაგალითად, ისრაელში არაბულ სექტორში იდება უამრავი სახსრები, გადასახადები კი მუნიციპალურ ბიუჯეტში არ შედის. ეს ტრადიციული მიდგომაა: აიღო და შემდეგ იყვირო „ჩვენ არ გვაძლევინ“. მახსოვს, როგორ მომმართა არაბული სექტორის წარმომადგენელმა, რომ მათ მუნიციპალიტეტს უარყოფითი ბალანსის გამო სახსრები არ გააჩნია. მე შევთავაზე: ჩვენ ყოველ თქვენს შეკელში ერთ შეკელს ვდებთ. მაღლობა გადაგვიხადეს და წავიდნენ. იმიტომ, რომ არ აპირებდნენ გადასახადების გადახდას. და როგორ უნდა გადაიხადონ გადასახადები, მაშინ როდესაც ხელისუფლება რამდენიმე კლანს ეკუთვნის?! გამოდის, მათ ფული თავისივე ოჯახის წევრებისგან უნდა შეაგროვონ. რატომ, თუ ისინი ისედაც ყველაფერს იღებენ, რაც უნდათ? 2000 წლის შემოდგომაზე, როდესაც მათ ძალადობა მოაწყეს, პოლიციელებმა კი 13 დემონსტრანტი მოკლეს, ბარაკმა კომპენსაციის სახით 4 მილიარდი შეკელი საჩუქრის სახით შესთავაზა. რის გამო? იმისთვის, რომ მათ თავისი ქმედებით ნახევარ ქვეყანას გაუკეთეს პარალიზება. ეს აბსურდი არ არის? ვთვლი, რომ კანონი ლოიალურობის შესახებ აუცილებელია: შენ არ შეგიძლია იყო ქვეყნის მოქალაქე და

(დასასრული მე-8 გვერდზე)

# ისრაელისა და აზერბაიჯანის სახელმწიფო ირგვლივ

## აზუ-მაზენმა ისრაელს ულტიმატუმი წაუყენა

— ისრაელთან სამშვიდობო მოლაპარაკებები არ განახლდება სანამ იერუსალიმი არ დათანხმდება ფორმულას „ორი სახელმწიფო ორი ხალხისთვის“. ასეთი განცხადება გააკეთა პალესტინის წარმომადგენელმა აზუ-მაზენმა იტყობინება „Kypcor“. ახლო აღმოსავლეთში აშშ-ს სახელმწიფო მდივნის დამხმარესთან — ჯეფრი ფელტმანთან შეხვედრისას აზუ-მაზენმა ასევე განაცხადა, რომ ისრაელმა სასწრაფოდ უნდა შეწყვიტოს უკანონოდ დანებებული მშენებლობები.

პალესტინის წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ საუბარია ისრაელის მხრიდან მოვალეობების შესრულებაზე და არა პალესტინის პირობებზე. „ყველა ეს პუნქტი „საგზაო რუკაში“ შედის და ჩვენ ვერ ვხედავთ აზრს მოლაპარაკებებში, თუ ეს მოვალეობები არ შესრულდება“, — დაასკვნა აზუ-მაზენმა.

## ანტისემიტიზმი გერმანიაში

### ანტისემიტიზმი რომორც მემარჯვენე რადიკალების დროა

დამოუკიდებელმა საქსპორტო კომისიის ანგარიშში გერმანიაში ანტისემიტიზმის გამოვლენის შესახებ. ნათქვამია, რომ „წარმოდგენა ებრაელებზე, რაც ცრურწმენებზეა დამყარებული, გერმანულ საზოგადოებაში ღრმად არის გამჯდარი“.

ეს კომისია შექმნილია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მიერ და რეგულარულად მიაწოდებს ინფორმაციას პარლამენტს გერმანიაში ანტისემიტიზმის გამოვლენის ფაქტებზე. პირველი მოხსენების დასკვნები არადაამაიმედებელია: იქნება ეს ვინცო წრეში, ლუდის ბარში, სტადიონზე თუ ბლოგებში გერმანიაში მცხოვრები ებრაელები რეგულარულად განიცდიან დიფამაციას. მართალია, გერმანიაში ანტისემიტიზმი აკრძალულია, მაგრამ გერმანელების დაახლოებით 20% ანტისემიტიზმითაა შეპყრობილი.

დამოუკიდებელ კომისიაში შედიან ცნობილი ექსპერტები: ლონდონელი ისტორიკოსი — პიტერ ლონგერიხი და ებრაული კულტურისა და რელიგიის გეიდელბერგის ინსტიტუტის ხელმძღვანელი — იოჰანეს ჰაილი. ბოლო წლებში მიმდინარე გამოძიებების მიხედვით მივიდნენ დასკვნამდე, რომ გერმანიაში ანტისემიტიზმის მთავარი ძალა — მემარჯვენე ექსტრემისტები არიან. ამას მილიციის სტატისტიკაც ადასტურებს: ანტისემიტიური გამოხატუებების 90%, სასაფლაოების შეურაცხყოფა და ჰოლოკოსტის უარყოფა სწორედ ამ ჯგუფზე მოდის.

მასობრივი ინფორმაციების საშუალებები შთაბეჭდილებას ქმნიან, რომ ანტისემიტიზმი ფართოდაა გავრცელებული გერმანიაში მცხოვრებ არაბული ქვეყნებიდან ჩამოსულ მუსლიმებს შორის. ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე კონფლიქტის ფონზე ეს ჯგუფები, შესაძლოა, განსაკუთრებით ენეოდნენ ანტისემიტიურ პროპაგანდას, თუმცა, დანამდვილებით ეს დასაბუთებული არ არის, ნათქვამია მოხსენებაში.

### სასწავლო გეგმები ცხოვრებას ჩამორჩება

გერმანული სკოლების სასწავლო პროგრამებში ფართოდაა წარმოდგენილი ჰოლოკოსტის თემა ნაციონალ-სოციალიზმის წლებში. განხილულია გერმანიის განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ისრაელის სახელმწიფოს არსებობაში. თუმცა ეს არ არის საკმარისი, ირწმუნებიან ექსპერტები. აუცილებელია ანტისემიტიზმის აქტუალური გამოვლენებზე საუბარი ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტს, ისლამურ პროპაგანდას და ფინანსურ კრიზისთან მიმართებაში.

ანტისემიტიზმის იგნორირების ტენდენცია, რომელიც გერმანიაში გასული საუკუნის 70-იან წლებამდე მიმდინარეობდა, შესუსტებულია. დღეს განსაკუთრებით შემამოფოთებელია ანტისემიტიური ტექსტების არსებობა ვიდეორგოლებსა და ინტერნეტში — ახალგაზრდობის სათამაშო მოედანზე.

### ნაქლები ძალისხმევა, საჭიროა სტრატეგია

ექსპერტები ითვალისწინებენ იმის საშიშროებას, რომ ბოლო წლების კრიზისზე პასუხისმგებელი საერთაშორისო ფინანსური სისტემის კრიტიკა, კვლავ განაახლებს ანტისემიტიურ ცრურწმენებს „ხარბ ებრაელებსა“ და „ებრაულ შეთქმულებას“. 2009 წელს ბილფელის უნივერსიტეტის თანამშრომლების მიერ ჩატარებული გამოკითხვისას, ყოველმა მეხუთე რესპონდენტმა კითხვაზე: „თვლით თუ არა, რომ ებრაელები ზედმეტად დიდ გავლენას ახდენენ მსოფლიო ფინანსურ მდგომარეობაზე?“ უმეტესობამ დადებითად უპასუხა. მთელი 40% კი დარწმუნებული იყო, რომ ებრაელები დღემდე ცდილობენ მიიღონ მოგება წარსულისგან — „მესამე რეიხისაგან“. ექსპერტები აღიარებენ, რომ გერმანულ საზოგადოებაში ანტისემიტიზმის საწინააღმდეგო, ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებულ მიდგომებს იყენებენ. მაგრამ, მოხსენებაში ნათქვამია, რომ კომპლექსური სტრატეგია ამ გამოვლენებთან საბრძოლველად არ არსებობს. სხვა ევროპულ ქვეყნებთან შედარებით გერმანია ანტისემიტიზმის გამოვლენების სტატისტიკით სიის შუაში იმყოფება. მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ისეთ ქვეყნებში, როგორცაა, პოლონეთი, უნგრეთი ან პორტუგალია დაფიქსირებულია ანტისემიტიური ხასიათის ძალიან მაღალი მაჩვენებელი, თვლიან მოხსენების ავტორები.

### პრეზიდენტი პალაუ: არაბები ისრაელის წინააღმდეგ ხმის მიცემაში 100 მილიონ დოლარს იხდინენ

NEWSru.co.il-ის ინფორმაციით, წყნარი ოკეანის პატარა კუნძულ-სახელმწიფოს პრეზიდენტმა — პალაუ ჯონსონ ტორიბიონგმა, რომელიც ერთი კვირის მანძილზე ოფიციალური ვიზიტით ისრაელში იმყოფებოდა, განაცხადა, რომ არაბეთის გაერთიანებულ საემიროების საგარეო საქმეთა მინისტრი მის სახელმწიფოს გაეროში ისრაელის მხარდაჭერისთვის უარის თქმის შემთხვევაში 100 მილიონ დოლარს სთავაზობდა.

ტორიბიონგის სიტყვებით, შემოთავაზების პირობების მიხედვით, პალანი 50 მილიონ დოლარს 5 წლის განმავლობაში მიიღებდა, ხოლო მეორე ნახევარს ამ პერიოდის გასვლის შემდეგ, თუმცა, ხელისუფლებამ რესპუბლიკისა, რომელშიც 18,1 ათასი ადამიანი ცხოვრობს, უარი თქვა გაეროში ხმის გაყიდვაზე.

ტორიბიონგი ისრაელში წყნარი ოკეანის კიდევ ორი სახელმწიფოს ლიდერთან — ვანუატუს (215 ათასი მცხოვრებით) პრეზიდენტთან — იოლ აბილ ჯონსონთან და ტონგას (119 ათასი მცხოვრებით) პარლამენტის სპიკერთან ლორდ ლასიკთან ერთად იმყოფებოდა.

როგორც გაზეთი „ედიოტ ახრონოტ“ იტყობინება, ვიზიტის ფარგლებში, ისრაელის ტრადიციული მოკავშირე ლიდერები შეხვდნენ პრემიერ-მინისტრს ბინიამინ ნეთანიაჰუს, საგარეო საქმეთა მინისტრს — ავიგდორ ლიბერმანს და პრეზიდენტს — შიმონ პერესს, დაათვალიერეს ისრაელის ტერიტორია.

### ისრაელმა ამერიკელი ებრაელები ალაშქროს

— ისრაელმა ჩვენთვის და ბევრისთვის დამამცირებელი კამპანია წამოიწყო, რომელიც დიდ დარტყმას აყენებს ებრაულ სახელმწიფოსა და ამერიკის შეერთებული შტატების ებრაული სათემოს ურთიერთობას. როგორც „kyrcor“ იტყობინება, ასეთი რეაქცია მოჰყვა აბსორბაციის სამინისტროს კამპანია, რაც ქვეყნიდან ნასული ისრაელელების სამშობლოში დაბრუნებას გულისხმობს. კამპანია შეიცავს სამ ვიდეორგოლს და ქუჩის პლაკატებს, რაც ძირითადად აფრთხილებს ებრაულ ერს დიასპორაში ცხოვრების შემთხვევაში იდენტიფიკაციის დაკარგვის შესახებ. „ისინი სამუდამოდ დარჩებიან ისრაელელებად, მათი შეილები — არა“, — საუბარია ერთ-ერთ ვიდეორგოლში, რომელმაც ალაშქროს აშშ-ს ებრაული ორგანიზაციების ლიდერები. ვიდეორგოლებში ასევე საუბარია შერეული ქორწინების შემთხვევაში ისრაელთან ურთიერთობის დაკარგვაზე. „ჩვენ ვფიქრობთ, რომ მსგავსი ვიდეორგოლები არცთუ ისე მომგებიანია, ბევრ შემთხვევაში კი უბრალოდ შეურაცხმყოფელია“, — განაცხადა ანტიდიფამაციური ლიგის გენერალურმა დირექტორმა — ები ფოქსმანმა. მისი სიტყვებით, ჩვენ გვესმის ისრაელის ლოგიკა, თავის მოქალაქეებისადმი მიმართვისას, მაგრამ, ამავე დროს, ჩვენ ვშიშობთ, რომ ბევრი ამას აშშ-ს ებრაელებისადმი მინიშნებად ჩათვლის, რაც საწყენი იქნება“.

ამ აზრს იზიარებს აშშ-ში ბევრი ბლოგერი, რომელიც ალაშქროს შობის აღნიშვნის მინიშნებად. „სანამ ხანუკა შობად გადაიქცევა სახლში, ისრაელში დაბრუნდით“, — საუბარია ერთ-ერთ ვიდეორგოლში. აღშფოთებულმა ბლოგერებმა ახსნეს, რომ შობის აღნიშვნა ამერიკული ცხოვრების ნაწილია და არა რელიგიური დღესასწაული.

ალსანიშნავია, რომ ეს კამპანია ბევრს ისრაელშიც არ მოეწონა. ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ „აღნიშნული კამპანია, აბსორბაციის სამინისტროს მიერ საგარეო საქმეთა სამინისტროსთან კონსულტაციის და კოორდინაციის გარეშე დაიგეგმა. სამწუხაროდ, ამ კამპანიამ ისრაელის მეგობრებში უარყოფითი დამოკიდებულება გამოიწვია და ამ ყველაფრის თავიდან აცილება ჩვენთან კოორდინაციის შემთხვევაში შესაძლებელი იყო.“

აბსორბაციის სამინისტროდან კი გადმოსცეს, რომ კამპანიაში საუბარი არ არის აშშ-ს ებრაელებზე და მისი დაგეგმვის დროს ნამდვილად არ იყო საუბარი აშშ-ს ებრაელების დამცირებაზე“.

**რედაქციისაგან:** უკანასკნელი ინფორმაციით, ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბინიამინ ნეთანიაჰუმ აბსორბაციის სამინისტროს მიუთითა დაუყოვნებლივ შეწყვიტონ აღნიშნული კამპანია.

### ისრაელი ირანთან ომის დაწყებას „არსებულ მომენტში“ გამოირიცხავს

ისრაელის თავდაცვის მინისტრმა — ეჰუდ ბარაკმა განაცხადა, რომ ახლო მომავალში თელ-ავივი ირანზე თავდასხმისათვის არ ემზადება, მაგრამ კვლავ იმეორებს, რომ თერანამ არ თქვა უარი ატომური პროგრამის განვითარებაზე, რაც, აშშ-ს, ევროპისა და ისრაელის აზრით, გამიზნულია ატომური იარაღის შესაქმნელად წერს „gazeta.ru.“

— ამ ნუთისთვის ჩვენ არანაირი ჩანაფიქრი არ გავგაჩნია, მაგრამ ისრაელის სახელმწიფო შიშით პარალიზებული არ არის. მან უნდა იმოქმედოს მშვიდად — ჩვენ არ გვჭირდება დიდი ომები, — თქვა მან ისრაელის რადიოსთან ინტერვიუში.

ისრაელი მხოლოდ მოხარული იქნება, თუ სანქციები ირანის ხელისუფლებას აიძულებენ უარი თქვას ატომური პროგრამის განვითარებაზე. „სამწუხაროდ, ვფიქრობ, რომ ეს არ მოხდება“, — დაასკვნა ბარაკმა.

### ეგვიპტეში ანტიისრაელური განწყობა კლიერდება

დაახლოებით 5000 ადამიანმა მიიღო მონაწილეობა დემონსტრაციაში, რომელიც „იერუსალიმის იუდეზაციის წინააღმდეგ ბრძოლის“ მხარდასაჭერად ჩატარდა.

ყველაფერი პარასკევის ტრადიციული ლოცვით დაიწყო, თუმცა, ბევრმა მასობრივი დემონსტრაციის დაწყებამდე სწრაფად დატოვა მეჩეთი, აქცია ორგანიზაცია „ქმები-მუსლიმების“ მიერ იყო ორგანიზებული, იტყობინება MIGnews.com.

აქციის ორგანიზატორების წარმომადგენელმა მლოცველებს მოუწოდა, რომ არ დაშლილიყვნენ და დემონსტრაციაზე დარჩენილიყვნენ, რათა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისთვის ცუდი შთაბეჭდილება არ შეექმნათ.

დემონსტრაციაზე ემოციური ანტისემიტიური გამოსვლებით აკრიტიკებდნენ „ოკუპანტ სიონისტებს“ და „ვერაგ ებრაელებს“.

დემონსტრაციაზე დარჩენილები არიგებდნენ ორმხრივ დროშებს, ერთ მხარეს გამოსახული იყო ეგვიპტის დროშა, მეორე მხარეს კი — პალესტინური, ასევე დაარიგეს იერუსალიმის ძველი ქალაქის რუქა, რომელზეც განლაგებული იყო დანვრილებითი „სიონისტების გეგმა იერუსალიმის მუსლიმური ხასიათის შეცვლის“ შესახებ. ასევე რიგდებოდა წინასაარჩევნო სააგატიცაიო ბუკლეტები, ეგვიპტეში პარლამენტის არჩევნების შესახებ.

ბრბოს წინ გამოსვლის დროს, ადგილობრივმა სულიერმა ლიდერმა აჰმედ

რას ვპიტიხ ულოპთ  
ამ კვირაში?  
რუბრიკას უძღვება  
ხახამი  
აარონ მდინარაძე

კ  
ს  
ა  
რ  
ე  
ს



თორის ეს თავი გვაცნობებს, როგორ გადაარჩინა აშემმა თავისი მონა იაყაკოვი ყესავისგან, რომელიც მასზე ძლიერი იყო, და იმას, რომ იაყაკოვ ავინუ არ ეყრდნობა მხოლოდ თავის სინმინდესს, არამედ ხმარობს ყველა ძალას თავის გადარჩენისთვის (რამბანი).  
იაყაკობ ავინუს კარგად ახსოვს ყესავის დაპირება: დადგება გლოვის დღეები მამის დაპატიოსნების შემდეგ და მოვკლავ იაყაკოვს, ჩემს ძმას (ბერეშით 27:41), ამიტომ იგი ემზადება 3 საქმისთვის: ლოცულობს, უგზავნის ყესავს საჩუქრებს და ემზადება ბრძოლისთვის.  
და იძახიან ჩვენი ხახმები, რომ ასე უნდა მოვიქცეთ ისრაელები ყველა თაობაში, „მიდრამ რაბა“ გვიამბობს: როდესაც რაბი იეჰუდა ანასი, ჩვენი ხელმძღვანელი მიშნის პერიოდში, უნდა შეხვედროდა რომაელებს - მაშინდელი ერეც ისრაელის დამპყრობლებს, ის ყოველთვის კითხულობდა და სწავლობდა თორის ამ თავს ვაიშლახ .

როგორც უკვე ვთქვით, ეს აქტუალურია ყველა და მათ შორის ჩვენი თაობისთვისაც, ყველა საქმის წინ ჩვენ უნდა გავაკეთოთ ის, რაშიც ძლიერები ვართ, ვილოცოთ ამემთან, და, რა თქმა უნდა, მოვამზადოთ საჩუქრები, ჩვენ არ ვეძებთ კონფლიქტებს და მშვიდობის გულისთვის შეიძლება ბევრი რამეც დავთმოთ, მაგრამ თუ მეორე მხარე არის აგრესიული და მასთან შეუძლებელია კომპრომისის მიღწევა, ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ძალის პოზიციიდან ლაპარაკისთვისაც.  
რა არის ლოცვა?:  
ყამიდა — არის ჩვენი მთავარი ლოცვა, თალმუდი მას უწოდებს — „თეფილა“ ანუ ლოცვა, ხოლო სიტყვა ყამიდა პირდაპირი მნიშვნელობით ნიშნავს — დგომას, რადგან ჩვენ ვკითხულობთ მას მდგომიარე და გაუნძრევლად (გარდა მოხრებისა), მესამე — „შემონა ესრე“ ნიშნავს თვრამეტს, ამდენი ბერახა იყო პირველად შედგენილ ლოცვაში, რომელიც დაანესეს მეორე ტაძრის დროს სანჰედრინის წევრებმა. ძირითადად ეს გამონვეული იყო იმიტომ, რომ ხალხს აღარ შეეძლო თავისი თხოვნების გამოხატვა აშემის წინაშე. დადგინდა პირველი სამი ბერახა, რომელშიც არის გამოხატული აშემის დიდება, 12 შუალედური, სადაც არის ჩვენი თხოვნები და სამი დამამთავრებელი, სადაც არის აშემის მაღლიერება. შუალედურ ბერახებში დაშვებული იყო პირადი თხოვნების ჩამატება. ციფრ „18“-ს აქვს სიმბოლური დატვირთვა, გემატრიით (ასოების ციფრობრივი მნიშვნელობა) ებრაული სიტყვა „ხაი“-სიციოცხლე, ასევე შეადგენს 18-ს. მიუხედავად იმისა, რომ ყამიდაში იქნა დამატებული კიდევ ერთი ბერახა, სახელი „შემონა ესრე“ მაინც შენარჩუნდა.  
ყამიდას ვკითხულობთ ჩურჩულით, ამას ვსწავლობთ ჩვენ წინასწარმეტყველ შმუელის დედის — ხანას საქციელისგან, როგორც წერია: „და როდესაც ლოცულობდა ხანა აშემის წინაშე, ლაპარაკობდა ის გულის, მარტო მისი ზაგებები მოძრაობდა, და ხმა მისი არ ისმოდა“ (შმუელი I 1:13).  
წერია „შულხან არუხში“ (98:3), რომ მლოცველი უნდა გრძობდეს თავს, როგორც მათხოვარი სხვისი სახლის კარის წინ, რომელსაც არ გააჩნია არც საჭმელი, არც საკვები, და არც არსად წასასვლელი,

ის აკაკუნებს კარებზე და ელოდება, რომ ვინმე მისცემს ერთ ნაჭერ პურს, ასეთი შეგრძნება უნდა ჰქონდეს ადამიანს ყველა ლოცვის წინ.  
აგრეთვე გვასწავლიან ჩვენი ხახმები, რომ ლოცვა ცრემლებით პირდაპირ მიდის აშემთან და ის აუცილებლად იქნება მიღებული.  
ვილნოელი გაონი წერს, რომ ლოცვა ეს არის ბრძოლა ავ ძალებთან, ისინი ცდილობენ ყველანაირად შეგვიშალონ ხელი, აგვირიონ ფიქრები, გაგვახსენონ ძველი ისტორიები, რომ არ ვიფიქროთ ლოცვის სიტყვებზე. მათ დასამარცხებლად აუცილებელია ლოცვისთვის მომზადება და მაქსიმალური კონცენტრაცია. (უფრო დანვრისებით ნახეთ ნიგნი „3 ლოცვა“, გამოცემულია თბილისში 5771 წელს).  
როდესაც ჩვენი ლოცვები არ არის საკმარისი უნდა მივმართოთ ცადიკებს, რომ მათ ილოცონ და ჩვენ თვითონაც არასოდეს არ უნდა შევწყვიტოთ ლოცვები.  
ერთხელ რაბი იაყაკოვ ალიშარი გაგზავნილი იყო ხევრონის ჯამათის მიერ ირანში თანხების შესაგროვებლად, ადგილზე ჩასულს მას იქაური ჯამათი დახვდა ძალიან შემფოთებული, მას უამბეს, რომ შაჰმა გადამწყვიტა ისრაელების ამოხოცვა, უკვე ბევრი ცნობილი ისრაელი ციხეშია და დღეც არის დანიშნული მთელი ჯამათის განადგურების, უპასუხა მათ რაბი: როგორც გადაარჩინა აშემმა იაყაკოვი ყესავის ხელიდან, ასევე გადაგარჩინთ თქვენ შაჰისაგან და დაიწყეთ ლოცვა აშემთან, რომ გაუქმებულიყო სასტიკი განაჩენი.  
დადგა ეს დღეც, ისრაელები თრთოლვით ელოდნენ შაჰის ყმების გამოჩენას, მაგრამ ამ დღემ ჩვეულებრივად ჩაიარა, დღის ბოლოსთვის კი მათ გაიგეს, რომ შაჰი გარდაიცვალა და ყველამ დაივიწყა მისი საშინელი დადგენილება, გაიხარეს ისრაელებმა და ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ განაჩენი გაუქმებული იყო აშემის მიერ, რაბი იაყაკობ ალიშარის და მათი ლოცვების და რწმენის გამო.

**შაბათი შალომი!**  
სრული ვერსია ნახეთ საიტზე — [mishpacha-tbilisi.com](http://mishpacha-tbilisi.com)

ალ-თაიებმა განაცხადა, რომ მთელ მსოფლიოში ებრაელები ცდილობენ გაყონ ეგვიპტისა და ისლამის ერთობა.  
იმისთვის, რომ ავაშენოთ ეგვიპტე ჩვენ ერთნი უნდა ვიყოთ. პოლიტიკა საკმარისი არ არის. ალაჰის რწმენა კი ყველაფრის საფუძველია, — თქვა მან. — ალ-აკსა ახლანდელ დროში ებრაელების მიერაა დაპყრობილი... ჩვენ, სიონისტებს ალ-კუდის (იერუსალიმის) იუდეიზაციის ნებას არ მივცემთ. ვეუბნებით ისრაელსა და ევროპას, რომ იქ არც ერთი ქვის გადაადგილების უფლებას არ მივცემთ.  
„მუსლიმი ძმების“ წარმომადგენლები და მონვეული პალესტინელი ორატორები, ღიად მოუწოდებდნენ პალესტინის გათავისუფლებისაკენ.  
ხშირად ისმოდა ციტატები ყურანიდან და დაპირება, რომ „ერთ მშვენიერ დღე ჩვენ ყველა ებრაელს მოვკლავთ“.  
მომიტინგეებს შორის იყო ადგილობრივი ბიზნესმენი, რომელიც ხალხს იერუსალიმში სახსრების დაბანდებას მოუწოდებდა, იმისთვის რომ შეწყდეს მიწის ნაკვეთებისა და სახლების ებრაელებისთვის გადაცემა.  
მთელი ღონისძიების განმავლობაში „მუსლიმი ძმების“ წარმომადგენლები სკანდირებდნენ: „თელ-ავივ, თელ-ავივ, განკითხვის დღე დადგა!“  
ლოცვის დასრულების შემდეგ, მეჩეთის ტერიტორიის გარეთ დანყებითი სკოლის მასწავლებელმა — ალა ალ-დინმა Ynet-ს უთხრა, რომ „ყველა პალესტინელი მუსლიმი მზად არის დადგეს ჯიჰადის გზაზე პალესტინის სახელით.“  
— რატომ განიცდიან დანაკარგებს ამერიკელები ავღანეთში? იმიტომ რომ მეორე მხარე მზად არის და უნდა სიკვდილი. ჩვენ სხვანაირი მენტალიტეტი გვაქვს, ვიდრე ამერიკელებსა და ებრაელებს — თქვა მან.

**ისრაელი განწყობის ყველა კონტაქტს ღაზას სექტორთან, ელექტროენერჯისა და წყლის ჩათვლით**

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ დანი აიალონმა გააკეთა კომენტარი. მან აღნიშნა, რომ პალესტინის ადმინისტრაცია გადაიქცა „ტერორის ადმინისტრაციად“ და რომ ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტრო განიხილავს საკითხს ღაზის სექტორთან ურთიერთობის განწყვეტის შესახებ წყლის, გათბობისა და ელექტროენერჯის ჩათვლით.  
აიალონას სიტყვით, „ჰამასი“ უარს ამბობს საერთაშორისო საზოგადოების მოთხოვნების — ტერორის შეწყვეტის, განიარაღების, ისრაელის არსებობის აღიარების და ადრინდელი ისრაელ-პალესტინის მოლაპარაკებების შესრულებაზე.  
მან დასძინა, რომ „წინააღმდეგობის ისლამური მოძრაობა“ ისრაელს უხეშ მოქმედებას აიძულებს. „ფათხსა“ და „ჰამასს“ შორის კონფლიქტის მოგვარება სასიკვდილო დარტყმას აყენებს პალესტინასა და ისრაელს შორის სამშვიდობო ურთიერთობის დამყარებას, დასძინა დანი აიალონმა.  
ეგვიპტეში განვითარებულ ბოლო მოვლენებთან დაკავშირებით საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, რომ ისრაელსა და ეგვიპტეს შორის სამშვიდობო მოლაპარაკება ნებისმიერი ხელმძღვანელობის პერიოდში იარსებებს, რადგან კაიროსთვის ის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

**საომარი საფაზისი**  
გენერალმა მოჰამედ ალი ჯაფარმა, რომელიც ირანის რევოლუციის თავდაცვის ორგანოს მიერ კონტროლდება, გამოაცხადა „მზადება ნომერი 1“ ღია

თავდასხმაზე მონინალმდეგის მხრიდან (უპირველეს ყოვლისა, ისრაელი და აშშ). იტყობინება [NEWS.co.il](http://NEWS.co.il).  
უპირველეს ყოვლისა, საუბარია სარაკეტო ბაზების საიდუმლო და სასწრაფო გადაადგილებაზე. ტელეგრაფის ცნობით, ირანის მეთაურმა ალი ხამეინმა ირანის შეიარაღებულ ძალებს უბრძანა — დაზვერვასა და უსაფრთხოების სამსახურებს — მიიღონ აუცილებელი ზომები ირანის რეჟიმის დასაცავად. გენერალმა ჯაფარმა ბალისტიკური რაკეტები „შიხაბი“ მთელი ქვეყნის მასშტაბით საიდუმლო ბაზებში გადაანანილა, რათა თავდასხმის დროს მტერს სათანადო წინააღმდეგობა გაუწიოს. ამასთან ერთად, ირანის საჰაერო სამხედრო ძალებმა ჩამოაყალიბეს „სწრაფი რეაგირების ესკადრილია“, რომელიც ამჟამად ჰაერიდან თავდასხმის დროს წინააღმდეგობის განწევისთვის ემზადება.  
ირანის შეიარაღებული ძალები განკარგავენ რამდენიმე ტიპის ბალისტიკურ რაკეტას, რომელთაც ირანის ტერიტორიიდან ისრაელზე თავდასხმა შეუძლიათ. უპირველესად, ეს არის რაკეტა „შიხაბი“, რომელსაც 1.300 კმ მანძილზე შეუძლია მიზნის მიღწევა.  
შეგახსენებთ, რომ 12 ნოემბერს სოფელ ბიგდანთან სარაკეტო ბაზის აფეთქების შედეგად დაიღუპა გენერალ-მაიორი ხანას ტეხრანი მოგადამი, რომელიც „ირანის სარაკეტო პროგრამის მამად“ ითვლებოდა და პასუხის აგებდა ახალი ტიპის რაკეტების „შიხაბისა“ და „სეჯილის“ გამოცდაზე. აფეთქება ისეთი ძლიერი იყო, რომ ბაზა პრაქტიკულად მთლიანად განადგურდა. თეირანი ამტკიცებს, რომ აფეთქება რაკეტების დატვირთვის დროს ავარიამ გამოიწვია, მაგრამ უცხოურ მასობრივ ინფორმაციის საშუალებებში ქვეყნდებოდა ცნობები იმის შესახებ, რომ ეს აფეთქება შეიძლება ისრაელის ან სხვა სახელმწიფოების მიერ ყოფილიყო მოწყობილი.  
ყველა პუბლიკაციაში საკითხზე „საიდუმლო ომი ირანის წინააღმდეგ“ ნახსენებია 28 ნოემბერს მომხდარი საიდუმლო აფეთქება ისპაჰანში. ბრიტანული გაზეთის „თიმეს“ ცნობით, ამ აფეთქების შედეგად განადგურდა ურანის გამამდიდრებელი ქარხანა.  
ამის მიხედვით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თავდასხმის ობიექტები ხდებიან ირანის სარაკეტო ბაზები, ბირთვული ობიექტები, ასევე მაღალჩინოსანი მოხელეები და სამხედროები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ბირთვულ პროგრამასთან.  
თუ საიდუმლო ომი, მართლაც მიმდინარეობს, მაშინ თავდასხმის ობიექტები სულ მალე შეიძლება ირანული საჰაერო თავდაცვა და სამხედრო საჰაერო ძალები გახდნენ. ირანის საომარი ავიაცია არ წარმოადგენს საშიშ საფრთხეს არც ისრაელისთვის და არც აშშ-სთვის. ირანული სამხედრო საჰაერო ძალები, ძირითადად, გამოიყენებს ძველ ამერიკულ და საბჭოურ ტექნიკას და ასევე სამამულო სწრაფმავლებს, რაც აშშ-სა და ისრაელის თვითმფრინავების ყველა სტანდარტს ჩამორჩება. მონინალმდეგისთვის რეალურ საფრთხეს შეიძლება წარმოადგენდნენ ბომბდამშენი **CY-24**. ცნობილია, რომ ბოლო წლებში ისრაელში ამ თვითმფრინავებზე რუსი სპეციალისტები მუშაობდნენ.  
გარეგანი საფრთხეების ფონზე ირანელები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ სამხედრო საჰაერო ძალები და იტყობინებენ ცოტა ხნის წინ ამერიკული „საიდუმლო“ უპილოტო თვითმფრინავის **RQ-170** ჩამოგდებაზე. რაც იმის დამამტკიცებელია, რომ ირანელებმა მიაღწიეს შესამჩნევ წარმატებებს „ელექტრონულ ომში“ მონინალმდეგის საჰაერო ძალების წინააღმდეგ.

ამავდროულად მის მტერს უჭერდე მხარს. — **თქვენი აზრით, რამდენად აცნობიერებს დასავლეთი ისლამისგან მომდინარე მუქარას?**

— მაინც და მაინც ოპტიმისტი არ ვარ. სოციალურმა, ლიბერალურმა იდეოლოგიამ აბსურდის ზღვარს მიაღწია. პოლიტკორექცია — მისი გამოვლინებაა, რომელიც დასავლეთს ხელეხს უკრავს. ობამა — ამ აზროვნების გამოვლინებაა, იგი ამერიკის პირველი ანტიამერიკელი პრეზიდენტი.

— **მას მხარი ამერიკელი ებრაელების 80%-მა დაუჭირა...**

— ებრაელებს შავკანიანების წინაშე დანაშაულის კომპლექსი აქვთ. რაც შეეხება ობამასა და მის გარემოცვას, რთული სათქმელია რა უფრო მეტი აქვთ ორპირობა თუ უხეშობა. ისეთ სახეს იღებს თითქოს არ იცის, რომ ისლამი მონობას აკანონებს. კაიროში საუბრის დროს მან ფაქტიურად მეორე მსოფლიო ომში ებრაელთა კატასტროფა და სიტუაცია ლაზაში ერთმანეთს შეაღარა. ცოტა ხნის წინათ ამერიკელი სახელმწიფო მოღვაწე ამას ვერც იფიქრებდა.

რაც შეეხება ევროპას, მისმა ხალხებმა გახარჯეს ნაციონალური იდენტურობა, ეს კი — ნაციონალური გადარჩენის საფუძველია. მუსლიმები მათ საკუთარი ცხოვრების ნორმებს ახვევენ თავს. მარტო გერმანიაში 4800 მეჩეთია! სპეციალისტების შეფასებით, ახლანდელი ტენდენციების შენარჩუნებით 25-30 წლის შემდეგ ევროპა ისლამური გახდება.

— **თქვენ თქვით, რომ ყველა დათმობის იდეა მემარჯვენეების მხრიდან წამოვიდა. ნიშნავს ეს იმას, რომ ისრაელში ფაქტიურად არ არსებობს მარჯვენა ბანაკი?**

— თეორიულად ისრაელში მემარჯვენეები არსებობენ, მაგრამ, რეალურად მემარცხენეების დუდუკზე მდებარეობს. ეს ძველი მოვლენაა. ბეგინი, მიუხედავად 1979 წელს ლიკუდის გამარჯვებისა, მოლაპარაკებებზე მხოლოდ მოშე დაიანის თანხმობის შემდეგ წავიდა. მართალია, დღეს ძალაუფლება მარჯვენა კოალიციას აქვს, მაგრამ პოლიტიკურ კურსს მემარცხენეები საზღვრავენ. ტონს ობამა იძლევა. მას კი მხარს უჭერენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, მემარცხენე ინტელექტუალები, მათ უკან კი, თავის მხრივ, ევროპა დგას. ჩვენ ჩიხური სიტუაცია შეგვექმნა: დავტოვეთ ლაზა,

სადაც ტერორისტული აზროვნება აღმოცენდა, ამის მიუხედავად, ჩვენ მაინც ვაგრძელებთ მათთან პროდუქტებისა და პირველადი მოხმარების ნივთების შეტანას. ჩვენ ვკვებავთ და ვკურნავთ ტერორისტებს, რომელთაც ჩვენი განადგურება სურთ. ამის მიუხედავად, ევროპელები უკუაგდებენ ლიბერმანის ინიციატივას ლაზაში საკუთარი ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის შექმნის შესახებ, რათა იგი ისრაელზე არ იყოს დამოკიდებული. ევროპამ შექმნა აბსურდული მდგომარეობა, რომლის შედეგადაც ისრაელი კვლავ ოკუპანტად ითვლება, მიუხედავად იმისა, რომ ეს ასე არ არის.

— **ბოლო მოვლენები ამტკიცებს, რომ ისრაელს თავისუფლად შეუძლია არაბულ ქვეყნებთან ურთიერთობა. ეგვიპტე და იორდანია, ისევე როგორც ისრაელი, „შამასის“ დასუსტებითაა დაინტერესებული.**



ბული. — ასეთი თანამშრომლობა განსაკუთრებულად ტაქტიკურ ხასიათს ატარებს. ეგვიპტესთან ერთმანეთისგან განსხვავებულ სფეროებში შეთანხმება იყო ხელმოწერილი, მაგრამ დღეს სრულდება? არის ტურიზმი ეგვიპტიდან? ისრაელის მონახულების ნებისმიერ მსურველს დაკითხავენ, თუ რატომ ჩამოდის ჩვენს ქვეყანაში. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები დაუფლავად წერენ, რომ ისრაელი — მაქინაციური სახელმწიფოა, თვითონ ებრაელები კი — მატყუარები და გაიძვერები. კაიროს კულტურულ ცენტრში ეგვიპტის სპეცსამსახურების

ოფიცრები ივრით სწავლობენ. ქაიროში წიგნების გამოფენაზე თორა და „სიონის ბრძენთა ოქმები“ ვნახე. „მან კამპფი“ — აქ ბესსელერი. ეგვიპტის სწავლულები „ოქმებს“ სერიოზულ გამოკვლევებს უწოდებენ და ამბობენ, რომ ისინი ნაყალბევიც რომ იყვნენ, უტყუარ ფაქტებს მაინც შეიცავენ.

— **რა ფუნდამენტალური განსხვავებებია ვაჭაბისტურ ისლამსა და ტრადიციულ სუნიტურ ისლამს შორის?**

— ისლამში არ არსებობს ზომიერი და რადიკალური მიმართულებები. ზომიერი ისლამი — დასავლეთის გამოგონებულა. ისლამი განსაკუთრებულად ფუნდამენტალური სწავლებაა, რომელიც ყურანსა და წმინდა ტექსტებზეა დაფუძნებული. მას განსაზღვრების სხვა ვერსია არ გააჩნია. მაგრამ ისინი არ თამაშობენ როლს რელიგიური და პოლიტიკური დოგმების განსაზღვრებაში. თუ გინდათ დასკვნა რელიგიის ხასიათიდან გამომდინარე, თავდაპირველად ყურადღება მიაქციეთ ესხატოლოგიურ წინასწარმეტყველებას. ისლამური რწმენის მიხედვით, მესია ვერ მოვა სანამ ებრაელები არ დაიხოცებიან, ქრისტიანები კი ჯოჯოხეთში არ დაინჯებიან. ამას ასწავლიან სკოლებში და არა მარტო ვაჭაბისტები.

— **ასეა თუ ისე, ისლამი შუა საუკუნეებში ებრაელებისადმი ტოლერანტული იყო.**

— პირველ რიგში, ისეთი ტოლერანტული სულაც არ იყო, როგორც უნდათ რომ დავიჯეროთ. მეორე და მთავარი კი ის არის, რომ ეს მოთმინება ქრისტიანებისა და ებრაელების მორჩილებით ხდებოდა. მათ ითმენდნენ, სანამ მოთმენა უნდოდათ, არც მეტი არც ნაკლები.

— **თქვენ თვლით, რომ ისრაელმა ირანს მანამდე უნდა დაარტყას, სანამ ეს ქვეყანა თავის განკარგულებაში ბირთვულ იარაღს მიიღებს?**

— მე კატეგორიული წინააღმდეგი ვარ ირანის წინააღმდეგ ყველანაირი საომარი აქციებისა. ეს საგრძნობლად გააუარესებს ჩვენს მდგომარეობას და სიტუაციას პრინციპულად ვერ შეცვლის. ატომური ობიექტების დაბომბვა (წარმატების შემთხვევაშიც კი) ირანის პროგრამას ერთი წლით შეაჩერებს. პოლიტიკური მარცხი კი უზარმაზარი იქნება. ჩვენ გადავუხდით ირანელებს და საერთაშორისო იზოლაციაში აღმოვჩნდებით.

## ვილი ვაინერის კონცერტი

7 დეკემბერს ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში გაიმართა ა. ნერსესიანის სოლო კონცერტი, რომელშიც ვ. ვაინერის ნაწარმოებებთან ერთად მომღერალმა შეასრულა ცნობილი სომეხი კომპოზიტორების ნაწარმოებები.

საღამოს უძღვებოდა სომხეთში ებრაული კულტურის ცენტრ „მენორას“ ვიცე-პრეზიდენტი არმენ არნაუტოვ-სარქისიანი.

სომხეთში ებრაული კულტურის ცენტრი „მენორა“ პროექტ „კულტურის გზით ტოლერანტობამდე“ ფარგლებში უკვე მრავალი წელია ახორციელებს რიგ კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამებს.

ერევანში ხელოვნების ცენტრ „გაფესჩიანში“ 24 ნოემბერს შედგა სომხეთის რესპუბლიკის დამსახურებული მოღვაწის, კომპოზიტორ ვილი ვაინერის „საფორტეპიანო პიესები „In C“ კრებულის პრეზენტაცია. გამოცემა მიეძღვნა სომხეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობისა და ქვეყნის ებრაული თემის მოღვაწეობის 20 წლისთავს.

კომპოზიტორ ვილი ვაინერის შემოქმედება თვითმყოფადი და უნიკალურია. მის მიერაა შექმნილი კლასიკური ებრაული საორკესტრო ნაწარმოებების ციკლი, რომლებიც თავმოყრილია სამ საავტორო ალბომში: „გამოსვლა“, „ოცნება“ და „ჩემი ხალხი“. მოცემული საფორტეპიანო კრებული შეიცავს ამ ალბომიდან 15 პიესას, რომლებიც ავტორის მიერ გადამუშავებულია ფორტეპიანოსათვის, სომხეთის რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატის, ერევნის კომიტასის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორ ანაჰიტ ნერსესიანის მიერ. კრებული განკუთვნილია მუსიკალური ათნლედის მოსწავლეთა,

კოლექციისა და კონსერვატორიის სტუდენტთათვის, ასევე მოქმედი პიანისტებისათვის.

კრებულისა და CD გამოცემა განხორციელდა სომხეთის რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს დაკვეთით. სამინისტროს თანამედროვე ხელოვნების სამმართველოს ხელმძღვანელმა, ქალბატონმა სონია არუთინიანმა გულითადად მიულოცა და მაცხროს გადასცა საპატიო სიგელი: „შემოქმედების 30-წლიანი იუბილის, სომხეთში კლასიკური მუსიკალური კულტურის განვითარებაში შეტანილი წვლილისა და ტოლერანტობის პრინციპების, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების განვითარების საქმეში მიღწეული წარმატებისათვის“.

გამოცემა საჩუქრად გადაეცემა კონსერვატორიებს, სასწავლებლებს, სხვა სამუსიკო დაწესებულებებს და ბიბლიოთეკებს როგორც სომხეთში, ასევე საქართველოში, რუსეთში, უკრაინაში, აშშ-ში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში, რაც შეესაბამება პროექტის ძირითად იდეას — ტოლერანტობის პრინციპების გავრცელებას მუსიკის ენით.

7 დეკემბერს თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიას კრებული საჩუქრად გადასცა.

2012 წლის მარტსა და აპრილში ამავე პროგრამის ფარგლებში იგეგმება კონცერტები პ. ჩაიკოვსკის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორიასა და ნ. რიმსკი-კორსაკოვის სახელმწიფო კონსერვატორიის სახელმწიფო კონსერვატორიებში.

პროექტს „კულტურის გზით ტოლერანტობამდე“ მნიშვნელოვანი კულტურული დანიშნულება აქვს და ხელს უწყობს როგორც სომხეთში, ასევე მის ფარგლებს გარეთ მცხოვრები ხალხების განათლებასა და ურთიერთგაგებას.

### იური პაპისმაშვილის მონატრება

ერთი ტკივილიანი და სევდიანი წელი გავიდა ძვირფასო, რაც ჩვენგან წახვედა. ულმოებლმა სიკვდილმა ასე ნაადრევად წაგვართვა შენი თავი. სიყვარულით იგონებენ ვაჟკაც და საყვარელ მამას შვილები — ჩიკო და ბერტა, კეთილ, მოსიყვარულე და ძვირფას, დაუვინყარ პაპას — შალვა და გაბრიელა, საამაყო, ერთგულ ადამიანს და-ძმანი გულიკო და მიშკა ოჯახებით, ცოლისძმა ნუგზარი ოჯახით, ცოლისდა ვუჟუნა ოჯახით, ელზა ოჯახით, ლია და დათო ოჯახით, ძმიშვილები, დისშვილები, დეიდები და ბიძები, მძახლები თამარიკო, რიმა და რებეკა შეპეტკოვები, კარგ მოსაუბრეს და თამადას მეგობრები და მეზობლები.

29 ნოემბერს შენ 70 წელი შეგისრულდება და ძვირფასო, მოვედით ყვავილებით შეგიმკეთ საფლავი და ვეფერებოდით შენს სახეს, ცივ ქვაში ამოხატულს. ძნელია უშენობა, უძღურია სიტყვები ჩემი განცდების გამოსახატავად. გვენატრები ყველას ჩვენო იმედო, კეთილო, ერთგულო, ალაღმართალო ყველას მიმართ.

ვანთებ სანთლებს ცრემლებით, გულისტკივილით და ღმერთს ვევედრებით, რომ მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი მშობლიური მიწა.

**მეუღლე — მაყვალა აბრამიშვილი, შვილი — აჩიკო, შვილიშვილები და მთელი ჩვენი ნათესაობა!**



დაგფუქნეპლნი და რეპისტრირეპულია რედაქტორი  
გამომცემი: ქ. თბილისის მთაწმინდის ბურამ ბათიაშვილი  
გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე რაიონის სასამართლო  
თბილისი, ლეონიძის 11<sup>ბ</sup>, ვახტანგ VI ქ. №30 მიმრ.  
ტელეფონები: 99.90.96, 77.20.57 რეპისტრაციის № 4/1-921  
ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 8-557  
9771987898003